განათლების
ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი

# ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანება**

**ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის #15 საბავშვო ბაღი**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: *მარიამ გოგობერიშვილი*

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: *ია ალადაშვილი*

კვების დარგში ექსპერტი: *ნინო მელიქიძე*

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: *ნათია ზაზაშვილი*

# ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| **1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ** | |
| სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი |
| საფირმო სახელწოდება | ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანება |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | 443861750 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება *(არსებობის შემთხვევაში)* | ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის #15 საბავშვო ბაღი |
| სახელწოდება ინგლისურ ენაზე *(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| სექტორი | საჯარო |
| ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება |
| **2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ** | |
| იურიდიული მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | ხაშურის მუნიციპალიტეტის, ქალაქი ხაშური, ჟორდანიას ქუჩა #3 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვიშხეთი, მე-5 ქუჩა, #5 |

| | |
|---|---|
| დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| **3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ** | |
| დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒ | დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐ |
| **4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ** | |
| ვიზიტის საფუძველი<br>*(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)* | **MES 4 25 0000675383 16/06/2025** |
| ვიზიტის პერიოდი<br>*(თარიღი)* | 8 -9 ივლისი, 2025 წელი |

| **5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ** (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე) | |
|---|---|
| **წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა** | **ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა** |
| | |

| **6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ** |
|---|
| საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული ***"ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"***-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს. |

| N | პროგრამის სახე[1] | კურიკულუმ(ებ)ის დასახელება | პროგრამის განხორციელების ენა | პროგრამის განხორციელების მიდგომა *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)* | თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ადრეული აღზრდისა და განათლების პროგრამა | | | | |
| | | | | | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐<br>არ ეთანხმება ☐ |
| 2 | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა | ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“, სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ | ქართული | | 32 |
| | | | | | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒<br>არ ეთანხმება ☐ |
| 4 | სასკოლო მზაობის პროგრამა | | | | |
| | | | | | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐<br>არ ეთანხმება ☐ |

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

## 7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები*

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 16/06/2025 წლის ბრძანებით MES 4 25 0000675383 განსაზღვრულ პერიოდში, კონკრეტულად 2025 წლის 8-9 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელში - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის #15 საბავშვო ბაღი. როგორც ვიზიტის დღის-წესრიგით იყო გათვალისწინებული, პირველ დღეს ვიზიტში მონაწილეობდნენ ხარისხისა და კურიკულუმის ექსპერტები, ხოლო მეორე დღეს, ხარისხის, კურიკულუმის, კვებისა და სანიტარია-ჰიგიენის ექსპერტები. პროცესს ზედამხედველობას უწევდა ხარისხის ცენტრის წარმომადგენელი. პროცესში, აგრეთვე, მონაწილეობდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველი, გაერთიანების სხვა წარმომადგენლები და უშუალოდ სტატუსის მაძიებლის თანამშრომლები. ვიზიტის პროცესმა ჩაიარა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში, პერსონალი ორგანიზებულად მონაწილეობდა დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენისა და გარემოს დათვალიერების პროცესში, საინტერესოდ და სასიამოვნოდ ჩაიარა ინტერვიუების პროცესმაც.

ვიზიტის პროცესში ორივე დღის განმავლობაში შესწავლილ იქნა სტატუსის მაძიებლის მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ორივე დღის ბოლოს, ექსპერტების მხრიდან დაწესებულების წარმომადგენლებთან გაზიარდა ძირითადი მიგნებები. სტატუსის მაძიებელს თვითშეფასებასა და სავალდებულო დანართებთან ერთად წარმოდგენილი ჰქონდა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის #15 საბავშვო ბაღის შესაბამისობის უზრველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია დაწესებულებაში არსებული შეუსაბამობები და მათი მოგვარებისათვის განსახორციელებელი აქტივობები, ვადები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა შესწავლილი იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ, თუმცა, საბოლოოდ, დასკვნის პროექტზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, რომ სტატუსის მაძიებლის მიერ შევსებული თვითშეფასების ზოგიერთი ნაწილი არ დაემთხვა ექსპერტების მიერ განხორციელებულ შეფასებებს. დაწესებულება ძირითადად სრულ შესაბამისობაში წარმოადგენს საბავშვო ბაღში მიმდინარე პროცესებს, არსებულ მატერიალურ რესურსაა და ოჯახთან/თემთან თანამშრომლობის საკითხებს, დოკუმენტების შესწავლისა და ვიზიტის შედეგად კი დადგინდა, რომ არსებობს მთელი რიგი ხარვეზები, რაც რეალურად შეუსაბამობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან, თუმცა, დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაში აწერილი არ აქვს. აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფი ჩამოყალიბდა წინამდებარე დასკვნის პროექტში ასახულ შეფასებებზე.

## 8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

........................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................

## 9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

....................................................................................................................................................................................................................................
....................................................................................................................................................................................................................................
...................................................................................................................................................................................................................

# ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| 10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| სტანდარტი/კომპონენტი | დაწესებულების თვითშეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
| ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.1. დაწესებულების მისია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2]<br>*სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა*<br>*ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“, სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“* | | |
|---|---|---|
| **2. კურიკულუმი** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| **3. ოჯახისა და თემის ჩართულობა** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| **4. საგანმანათლებლო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2. პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| 4.3. მატერიალური რესურსი | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.7.ფინანსური რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია

1.2. სტრატეგიული განვითარება

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.2. პროცესების მართვა

4.3. მატერიალური რესურსი

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.7. ფინანსური რესურსი

# 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

## 1.1. დაწესებულების მისია

### 1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას მისია წარმოდგენილი აქვს ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025-2030 წლების სტრატეგიის დოკუმენტში (გაერთიანების მმართველის ბრძანება # ბ32.84251282 08/05/2025). მისია ჟღერს შემდეგნაირად: ***„დაწესებულების მისიაა, სოციალურად ჯანსაღ, თავისუფალ გარემოში უზრუნველვყოთ ინკლუზიური და ხარისხიანი განათლება, მაღალი თვითშეფასების მქონე, კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედებითი, დამოუკიდებელი ბავშვების აღზრდა მშობლებთან და თემთან ჰარმონიული ურთიერთობით“***

წარმოდგენილ მისიაში იკვეთება ერთის მხრივ ბავშვის კეთილდღეობისა და საუკეთესო ინტერესების დასაცავად აუცილებელი ფაქტორები, მეორეს მხრივ კი, ის გარემოება, რომ დაწესებულება იაზრებს საკუთარ როლსა და პასუხისმგებლობას ზემოთ აღნიშნულის უზრუნველსაყოფად. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დამკაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ხედვა და ღირებულებები. ხედვა და ღირებულებები წარმოდგენილია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025-2030 წლების სტრატეგიული გეგმის დოკუმენტში დაწესებულების მისიასთან ერთად.

დაწესეულების ხედვაა: ***„დაწესებულებამ იმოქმედოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და 2030 წლისთვის საბავშვო ბაღების 90%-მა შეძლოს ავტორიზაციის გავლა“***

დაწესებულების ღირებულებებია:

- ***გუნდური მუშაობა - დაწესებულების პერსონალის და მშობლების გუნდურობა. ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობები;;***
- ***პროფესიონალიზმი - უზრუნველვყოთ პერსონალის კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება;***
- ***ინოვაცია - სიახლეების გაზიარება და პრაქტიკაში დანერგვა;***
- ***ბავშვის უფლებების დაცვაზე ზრუნვა***

დაწესებულების ხედვა გამოდინარეობს მისიიდან, ვინაიდან ხაზს უსვამს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს პერიოდს, რომლის ფარგლებშიც მან უნდა უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტებთან მაქსიმალური შესაბამისობის მიღწევა, რაც ასევე შეესაბამება მისიის შინაარსს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................
რჩევა
სასურველია, შეიცვალოს დაწესებულების ხედვის ფორმულირება და არაზუსტი სიდიდით განისაზღვროს მითითებულ პერიოდში (ამ შემთხვევაში „2030 წლისათვის“) ავტორიზებული საბავშვო ბაღების ოდენობა, მაგ: „არანაკლებ 90%“.
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

## 3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მმართველის ბრძანებით დამტკიცებულია „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი" (#ბ32.8425139001 19/05/2025), რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებს. ესენი არიან:

ა) ბაღების გაერთიანების წარმომადგენელი/წარმომადგენლები;

ბ) ბაღ(ებ)ის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;

ბ) მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/საკონსულტაციო საბჭო;

გ) მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი;

დ) თემის/პარტნიორი ორგანიზაციის/დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელი;

ე) სხვა;

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის ბრძანებით (#ბ32.84241104 19/04/2024) ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში ავტორიზაციისა და თვითშეფასების პროცესის ჯეროვანი შესრულების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, შემუშავების პროცესი ასახულია ამავე სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმებში (#1, #2). სამუშაო ჯგუფის წევრები არიან:

ა) გაერთიანების წარმომადგენლ(ებ)ი;

ბ) გაერთიანებაში შემავალი ბაღების წარმომადგენლები;

გ) მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;

დ) თემის წარმომადგენელი;

ე) ორგანიზაციის/დონორის წარმომადგენელი, რომელთანაც მჭიდრო თანამშრომლობა აქვს ბაღს;

ვ) მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი

საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფის სხდომებში ხმის უფლების გარეშე მონაწილეობის მიღების მიზნით, შესაძლებელია, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის მოწვევა.

გაერთიანების მმართველის მიერ სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზნით გამოცემულ ბრძანებაში წევრებად განსაზღვრულნი არიან როგორც გაერთიანების, საბავშვო ბაღებისა და მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები, ისე აღსაზრდელთა მშობლები. ამ შემადგენლობით გამართული ჯგუფის შეხვედრები მისია, ხედვა და ღირებულებების შესამუშავებლად, ბუნებრივია, მოიაზრებს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას პროცესში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს თვითშეფასების დანართად წარმოდგენილი აქვს გაერთიანების მმართველის მიერ ბრძანებით (#ბ32.8425139001 19/05/2025) დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, რომელიც განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების, ასევე საჯაროობის უზრუნველყოფის გზებს. ამ დოკუმენტის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტში ვკითხულობთ: „მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებისათვის, გარდა ამ წესის მე-6 მუხლით განსაზღვრული **საკომუნიკაციო არხებისა, გამოიყენება შემდეგი გაზიარების მექანიზმები:**

ა)მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსდება ბეჭდურ მასალებში და საბავშვო ბაღების გაერთიანების სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებში;

ბ) მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსდება გაერთიანების/ბაღის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე;

გ) მისია, ხედვა და ღირებულებები გაჟღერებული იქნება გაერთიანებაში/ბაღებში დაგეგმილ შეხვედრებზე, სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის პრეზენტაციაზე და სხვა ოფიციალურ ღონისძიებებზე, რომლებიც ორგანიზებული იქნება გაერთიანების/ბაღის მიერ.“

ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი კი ადგენს:

**„პროცესში შემუშავებული დოკუმენტების გაზიარებისათვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები:**

ა)დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა;

ბ)სოციალური მედია ( facebook );

გ) საჯარო ღონისძიებები (შეხვედრები, ვორქშოპები და ა.შ);

დ) ბეჭდვითი მასალები (ფლაერები, ბანერები და ა.შ);

ე) საინფორმაციო დაფა;“

აღნიშნული ჩანაწერის დასადასტურებლად შეიძლება ითქვას, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოდგენილია სტრატეგიის დოკუმენტში, ასევე, გამოკრულია სოფელ ქვიშხეთის #15 საბავშვო ბაღის შესასვლელში თვალსაჩინო ადგილზე და როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა, მისია, ხედვა, ღირებულებები რეგულარულად ჟღერდება გაერთიანების მიერ ორგანიზებულ ადმინისტრაციული პერსონალის ყოველთვიურ

შეკრებებზე. ასევე მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანებისა“ და უშუალოდ სტატუსის მაძიებლის facebook გვერდებზე.
**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*1. ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება #ბ32.8425139001 19/05/2025*
*2. „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“*
*3. ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში ავტორიზაციისა და თვითშეფასების პროცესის ჯეროვანი შესრულების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (#ბ32.84241104 19/04/2024);*
*4. ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში ავტორიზაციისა და თვითშეფასების პროცესის ჯეროვანი შესრულების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი #1, #2*
*5. ინტერვიუები გაერთიანების მმართველთან და საბავშვო ბაღის დირექტორთან;*
*6. ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანებისა“ და სოფელ ვაყის #14 საბავშვო ბაღის facebook გვერდები: https://www.facebook.com/share/16w3XLK61v/*

| შეფასება: |
| --- |
| 1.1. დაწესებულების მისია |

| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |
|---|---|---|---|

## 1.2. სტრატეგიული განვითარება

## 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

### 1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მარეგულირებელი წესი, რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების მმართველის ბრძანებით (#ბ32.8425139001 19/05/2025) და წარმოდგენილია სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დანართად. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ფორმასა და პერიოდულობას. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება გათვალისწინებულია გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ: „შუალედურ პერიოდში (2.5 წელზე) და ბოლოს“. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი დაწესებულების მიერ ხორციელდება კვარტალურად, ხოლო შეფასება - წლიურად. ასევე, მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასების ფორმასა და პერიოდულობას. როგორც დაწესებულების მიერ დამტკიცებული მარეგულირებელი წესი, ისე მმართველის ბრძანება განსაზღვრავს სტრატეგიული განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას. დაინტერესებული მხარეები განსაზღვრულია მარეგულირებელი წესის მე-4 მუხლით: „სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართული არიან შემდეგი დაინტერესებული მხარეები:

*ა) ბაღების გაერთიანების წარმომადგენელი/წარმომადგენლები;*
*ბ) ბაღ(ებ)ის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;*
*გ) მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/საკონსულტაციო საბჭო;*
*დ)მუნიციპალიტეტის წარმმომადგენელი;*
*ე) თემის/პარტნიორი ორგანიზაციის/დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელი;*
*ვ) სხვა;*

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

## 2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დანართად წარმოდგენილი აქვს ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025-2030 წლების სტრატეგია. აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებულია გაერთიანების მმართველის ბრძანებით (#ბ32.84251282 08/05/2025).

სტრატეგია ხუთწლიანია, განსაზღვრულია მისი ციკლურობა. დოკუმენტი მოიცავს SWOT ანალიზს, რითაც დაწესებულება იაზრებს საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებს. აქვეა მრავალფეროვან სტატისტიკურ მონაცემებზე დაფუძნებული არსებული მდგომარეობის მიმოხილვა. სტრატეგიული გეგმა მოიცავს დაწესებულების მისიასა და ხედვასთან თავსებად მიზნებს, დოკუმენტში დასახული მიზნები და ამოცანები თანხვედრაშია მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტში განსაზღვრულ საკითხებთან. სტრატეგიული გეგმის ამოცანები გამომდინარეობს სტრატეგიული მიზნებიდან.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

## 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასების დანართად წარმოდგენილი აქვს ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სამოქმედო გეგმა - 2025. სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია გაერთიანების მმართველის მიერ შესაბამისი ბრძანებით (#ბ32.84251282 08/05/2025). სამოქმედო გეგმის ვადად განსაზღვრულია ერთი წელი და იგი ემთხვევა კალენდარულ წელს (2025 წლის იანვარი - 2025 წლის დეკემბერი), რაც არაა ლოგიკური, რადგან 2025 წლის 8 მაისს ვერ გაიწერება განსახორციელებელი აქტივობები უკანა თარიღით უკვე გასულ პერიოდზე. მარეგულირებელი წესის მე-11 მუხლის 1-ლ პუნქტში მითითებულია, რომ „სტრატეგიული გეგმიდან და საბავშვო ბაღების გაერთიანების ყოველწლიურ ითვითშეფასებიდან გამომდინარე იქმნება სამოქმედო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების თანმიმდევრულ და ეფექტიან განხორციელებას.“ თუმცა საყურადღებოა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცების თარიღები, რომლებიც ერთმანეთს ემთხვევა. აღნიშნული ქმნის წარმოდგენას, რომ დოკუმენტები შემუშავდა არა ერთმანეთზე დაყრდნობით, არამედ პარალელურად, რაც ვერ უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმიდან სამოქმედო გეგმის გამომდინარეობის რაც შეეხება თვითშეფასებას, ვინაიდან დაწესებულებას გასულ წელს არ განუხორციელებია თვითშეფასების პროცესი, შესაბამისად, სამოქმედო გეგმა ვერ დაეყრდნობოდა დაწესებულების თვითშეფასებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ გაითვალისწინოს და სამოქმედო გეგმის შემუშავებისას კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვროს მისი მოქმედების ვადა და ხანგრძლივობა. სამოქმედო პერიოდს წინ უნდა უსწრებდეს გეგმის შემუშავება და დამტკიცება, რათა შესაძლებელი გახდეს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განსაზღვრულ ვადებში განხორციელება.

აგრეთვე, დაწესებულებამ ყურადღება უნდა მიაქციოს პროცესის თანმიმდევრულობას. ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით, სამოქმედო გეგმა უნდა ამოვიდეს სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან, რაც შეუძლებელია, თუ დაწესებულება სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებზე პარალელურად იმუშავებს და ერთდროულად დაამტკიცებს.

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 2 თვის პერიოდზე.

კერძოდ: სამოქმედო გეგმის შემუშავებისას გაითვალისწინოს პროცესის თანმიმდევრულობა, რათა სამოქმედო გეგმა ამოვიდეს სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან, ასევე, სწორად განსაზღვროს სამოქმედო გეგმის ვადები და ხანგრძლივობა. ამისათვის დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერა შემდეგი აქტივობები: საკითხის დაყენება საბავშვო ბაღების გაერთიანებაში; ხაშურის საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის შეხვედრის დაგეგმვა; სამუშაო ჯგუფის მუშაობა აღნიშნული საკითხის გამოსწორებაზე და გაერთიანების მმართველთან წარდგენა დასამტკიცებლად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ექსპერტის შეფასება შეიცვალა **მეტწილი შესაბამისობით.**

## 4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილ სამოქმედო გეგმა შედგენილია ერთობლივად, დაწესებულებაში შემავალი ყველა საბავშვო ბაღისათვის. გაწერილია აქტივობები, რომლებიც შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, თითოეული აქტივობა სტრატეგიული გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისია. თითოეული აქტივობისათვის გაწერილია შესრულების როგორც თვისობრივი, ისე რაოდენობრივი ინდიკატორები. თითოეული აქტივობისათვის გაწერილია შესრულების რეალისტური ვადები. თუმცა, განხორციელების ნაწილში, გამონაკლისს წარმოადგენს სამოქმედო გემის სტრატეგიული მიზანი #1 -ის 1.2 ამოცანის აქტივობა 1.2.1 „სსსმ ბავშვების ირგვლივ მულტიდისციპლინური ჯგუფის შეხვედრები, ბავშვის სწავლებისა და ჩართულობის ხელშესაწყობად!" აღნიშნული აქტივობის განხორციელების ვადაში დაწესებულებას მითითებული აქვს 12 თვე 2025 წლის იანვარი-დეკემბერი. ვიზიტის პროცესში დადგინდა, რომ 2025 წლის ივლისის დასაწყისისათვის დაწესებულებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა შექმნილი მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც მოაწყობდა შეხვედრებს სსსმ ბავშვების სწავლებისა და ჩართულობის ხელშესაწყობად.
დაწესებულების სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ყველა აქტივობის შესაბამისად გაწერილია შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები. ასევე თითოეული აქტივობისათვის გაწერილია ადამიანური და მატერიალური რესურსები, დაფინანსების წყარო, ეს ყოველივე რეალურს გახდიდა სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების განხორციელებას, რომ არა ერთი გარემოება, კერძოდ: სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია 2025 წლის 8 მაისს, ხოლო მისი მოქმედების ვადად გაერთიანების მმართველის ბრძანებაში (#:ბ32.84251282 08/05/2025) განსაზღვრულია იანვარი 2025 წელი - დეკემბერი 2025 წელი.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ ერთმანეთთან თანხვედრაში უნდა მოიყვანოს სამოქმედო გეგმის დამტკიცებისა და მისი მოქმედების ვადები. ვინაიდან 2025 წლის მაისში დამტკიცებული დოკუმენტის 2025 წლის იანვრიდან ძალაში ყოფნა ქმნის წინააღმდეგობას გეგმით გაწერილი აქტივობების განხორციელების თვალსაზრისით. აგრეთვე, მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ ყურადღება მიაქციოს სამოქმედო გეგმაში გაწერილ შესრულების ვადებს და სწორედ დადგენილ ვადებში უზრუნველყოს გაწერილი აქტივობების განხორციელება

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 2 თვის პერიოდზე.
კერძოდ: დაწესებულებამ სამოქმედო გეგმის დამტკიცებისა და მოქმედების ვადების თანხვედრაში მოსაყვანად შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერა შემდეგი აქტივობები: საკითხის დაყენება საბავშვო ბაღების გაერთიანებაში; ხაშურის საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის შეხვედრის დაგეგმვა; სამუშაო ჯგუფის მუშაობა აღნიშნული საკითხის გამოსწორებაზე და გაერთიანების მმართველთან წარდგენა დასამტკიცებლად.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ექსპერტის შეფასება შეიცვალა **მეტწილი შესაბამისობით.**

## 5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ გაერთიანების მმართველის ბრძანებით დამტკიცებულია 2025 წლის 19 მაისს, დაწესებულებას ჯერ ვერ ექნება განხორციელებული აღნიშნული მეთოდოლოგიით გაწერილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება.
მეთოდოლოგიაში გაწერილია სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების პერიოდულობა (გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში 2.5 წლის ვადაზე და ბოლოს სტრატეგიული გეგმის ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს 6 თვისა.
მარეგულირებელი წესის თანახმად, დაწესებულება სამოქმედო გეგმის მონიტორინგს ახორციელებს კვარტალურად, ხოლო შეფასებას წლიურად, რაც ნიშნავს მონიტორინგის პროცესში შეგროვებული მონაცემების გაანალიზებასა და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა
………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი მარეგულირებელი წესის მიხედვით, ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასებისათვის იყენებს ანგარიშის მომზადების მეთოდს. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები ასევე პასუხისმგებელნი არიან წარმოადგინონ ანგარიში მარეგულირებელ წესში განსაზღვრული ფორმით, მიუთითონ ინფორმაცია აქტივობების შესრულების სტატუსის შესახებ, წარმოადგინონ მტკიცებულებები. გაერთიანების მმართველის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ ხდება წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავება და ერთიანი ანგარიშის დოკუმენტის მომზადება. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, წარადგენს ინიცირების წერილს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანის შესახებ. ანგარიშების საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, განთავსდება საბავშვო ბაღის ვებ-გვერდზე, სოცილურ ქსელში, საბავშვო ბაღების საინფორმაციო დაფებზე, ბეჭდვით მასალებში, დოკუმენების ელექტრონული ბრუნვის სისტემაში, ასევე გაჟღერდება საჯარო ღონისძიებებზე. გაზიარების ეს მექანიზმები იკითხება „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ მე-6 მუხლის მე2 პუნქტში. თუმცა, ვინაიდან მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები ჯერ არ დამდგარა, ბუნებრივია, დაწესებულებას არ წარმოუდგენია მტკიცებულებები აღნიშნულის შესახებ.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*1. ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება #ბ32.8425139001 19/05/2025*

*2. „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“;*

*3. ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში ავტორიზაციისა და თვითშეფასების პროცესის ჯეროვანი შესრულების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება(#ბ32.84241104 19/04/2024);*

*4. ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025-2030 წლების სტრატეგია (დამტკიცებულია გაერთიანების მმართველის ბრძანებით #ბ32.84251282 08/05/2025);*
*5. ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების" სამოქმედო გეგმა - 2025 (დამტკიცებულია გაერთიანების მმართველის მიერ შესაბამისი ბრძანებით #ბ32.84251282 08/05/2025);*
*6. . ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების" facebook გვერდი:*
https://www.facebook.com/share/16w3XLK61v/

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.2. სტრატეგიული განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2. კურიკულუმი [3]

### პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა;

### კურიკულუმის დასახელება

ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის I და II ნაწილი;
სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში.

### 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

#### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

[3] მეორე სტანდარტის „კურიკულუმის" ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველის ბრძანება : ბ32. 84251122 (22.04.2025) კურიკულუმის დამტკიცების შესახებ. ამ ბრძანებთ დასტურდება, რომ დაწესებულება პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით:

2-5წ. ასაკობრივ ჯგუფებში : „ ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის I – II ნაწილი (2020წ.)

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის ბრძანება: ბ32. 8425134001 (14.05.2025) 1. კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ. ამავე წესში , მუხლი 2 . კურიკულუმის შერჩევა, პუნქტებად გაწერილია კურიკულუმის შერჩევის პროცესის ეტაპები: ა) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა; ბ) ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა; გ) კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევა; აღნიშნული კურიკულუმი დაწესებულებას მანამდე აქვს დამტკიცებული ვიდრე „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი დამტკიცდებოდა. დასეწებულება კურიკულუმის შერჩევის დროს უნდა ხელმძღვანლობდეს მის მიერ შექმნილი წესის შესაბამისად.

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველის ბრძანება : ბ32. 84251122 (22.04.2025) კურიკულუმის დამტკიცების შესახებ. ამ ბრძანებთ დასტურდება, რომ დაწესებულება პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით:

5-6 წ. სასკოლო მზაობის ჯგუფებში: „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ (2015წ.)

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის ბრძანება: ბ32. 8425134001 (14.05.2025) 1. კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ. ამავე წესში , მუხლი 2 . კურიკულუმის შერჩევა, პუნქტებად გაწერილია კურიკულუმის შერჩევის პროცესის ეტაპები: ა) კურიკულუმის შეჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა; ბ) ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა; გ) კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევა; აღნიშნული კურიკულუმიც „ კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის“ შექმნამდეა დამტკიცებული. დაწესებულება კურიკულუმი/ების შერჩევა/შექმნის დროს უნდა ხელმძღვანელობდეს მის მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

დაწესებულებამ სამომავლოდ გაითვალისწინოს და კურიკულუმის შერჩევა მოახდინოს მის მიერ გაწერილი კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელ წესში გაწერილი მუხლი 2-ის პუნქტების შესაბამისად, რათა პროცესი იყოს თანმიმდევრული.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი , „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის I-II ნაწილი (2020წ.) , რომლითაც ხელმძღვანელობს 2-5 წ ასაკობრივ ჯგუფებში . აღნიშნული კურიკულუმი ეფუძნება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებს. აღნიშნული კურიკულუმის მეთოდები და თამაშზე დაფუძნებული აქტივობები პირდაპირ უკავშირდება და ხელს უწყობს ამ სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას.

დაწესებულებას შერჩეული აქვს კურიკულუმი , „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ (2015წ) , რომლითაც ხელმძღვანელობს 5 -6წ ასაკობრივ ჯგუფებში . აღნიშნული კურიკულუმი ეფუძნება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებს და შედეგების შესაბამისობა ჩანს სტანდარტში გაწერილი მიზნებისა და პროგრამის აქტივობების თანხვედრაში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შერჩეული აქვს კურიკულუმი , „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში" 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის I-II ნაწილი (2020წ.) , რომლითაც ხელმძღვანელობს 2-5 წ ასაკობრივ ჯგუფებში.
დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველის ბრძანება : ზ32. 84251018 (11.04.2025) ,რომლითაც დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. წესში (მუხლი 8.) გაწერილია, დაწესებულების მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას; ბ)ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში;

დაწესებულებაში ვიზიტისას, ინტერვიუს საფუძველზე დადასტურდა, საგანმანათლებლო პერსონალი აცნობიერებს ,რომ შეფასება ემსახურება ბავშვის ინტერესების, საჭიროებებისა პროგრესის გამოვლენას ბავშვის განვითარების ყველა სფეროში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

## 3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველის ბრძანება : ზ32. 84251018 (11.04.2025) ,რომლითაც დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. წესში (მუხლი 8.) გაწერილია, რომ დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების

შედეგების ანალიზისა და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება: ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით; ბ)გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრის დროს; დ) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.
დაწესებულებაში ვიზიტისას, ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პერსონალმა იცის როგორ გამოიყენოს შეფასების შედეგები საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა/მოდიფიცირებისთვის.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................
რჩევა
..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

## 4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების" მმართველის ბრძანება : ბ32. 84251018 (11.04.2025) ,რომლითაც დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი.წესში (მუხლი 8.პუნქტი 5) –„ ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს : გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში. გაწერილია, რომ დაწესებულება ბავშვის შეფასების პროცესში ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას.

დაწესებულებაში ვიზიტისას, ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს აღნიშნულ წესს და იცის როგორ უნდა ჩართოს ოჯახი ბავშვის შეფასების პროცესში.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმი;

ა.(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველის ბრძანება : ბ32. 84251018 (11.04.2025

2. ბავშვის შეფასების ფორმები.

ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი არზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველის ბრძანება : ბ32. 8425094001.( 04.04.2025)

3. საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი;

ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველის ბრძანება : ბ32. 84251018 (11.04.2025

4. კურიკულუმის მიზნების შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფის დოკუმენტაცია;

ერთ ჯგუფზე გათვლილი მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა, დამტკიცებული,

ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველის ბრძანება: ბ32. 8425094001( 04.04.2025)

5. ინვენტარის აღწერის დოკუმენტაცია.
6. დრის განრიგი.
7. წიგნების აღრიცხვის ჟურნალი
8. ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან.

| შეფასება: |
|---|

| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | | | |
|---|---|---|---|
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

## 2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

### 1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების" მმართველის ბრძანება: ბ32. 8425134001 (14.05.2025) რომლითაც დამტკიცებულია „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი.", სადაც (მუხლი 4.) პუნქტებად გაწერილია , რა კრიტერიუმების საფუძველზე მოხდება კურიკულუმის შეფასება. (პუნქტი 2)გაწერილია, რომ „კურიკულუმის შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად/ერთხელ."ასევე, გაწერილია ამ ინდიკატორით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების" მმართველის ბრძანება: ბ32. 8425134001 (14.05.2025) რომლითაც დამტკიცებულია „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი." აღნიშნულ დოკუმენტებში(მუხლი 5. კურიკულუმში ცვლილებების შეტანა და განვითარება) გაწერილია, რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით მოხდება კურიკულუმის შეფასება, განვითარება და ცვლილებების შეტანა. მათ შორის გაწერილია ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები.კურიკულუმის შეფასების საფუძველზე გაკეთებული მიგნებების გაანალიზება, ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით ცვლილებების საჭიროების იდენციფიცირება და საჭიროებისამებრ ცვლილებების განხორციელება.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1. საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი.
   ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების" მმართველის ბრძანება : ბ32. 84251018 (11.04.2025)
2.კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი.
ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების" მმართველის ბრძანება: ბ32. 8425134001 (14.05.2025)

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

# 3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

## 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

### 3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

**1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია:
ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების" მმართველის ბრძანება:ბ32. 8425104001 (14.04.2025) , რომლითაც დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი და ამ წესის შესაბამისად გაწერილი საკომუნიკაციო გეგმა , რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების" მმართველის რძანება: ბ32. 8425118001 (28.04.2025)- ით. აღნიშნული საკომუნიკაციო გეგმა მოიცავს თემთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან წინასწარ დაგეგმილ აქტივობებს.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
..........................................................................................................
..........................................................................................................
რჩევა
..........................................................................................................
..........................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. დაწესებულება წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველის ბრძანება:ბ32. 8425104001 (14.04.2025) , რომლითაც დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, აღნიშნულ წესში არ იკითხება და არც ცალკე წარმოუდგენია დაწესებულებას, როგორ, რა მეთოდებით წაახალისებს თემისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შეიმუშაოს, დაწესებულების შიგნით/გარეთ, კურიკულუმის ფარგლებში განსახორციებელ ღონისძიებებში თემისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობის წახალისების მეთოდები.

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობა: „ გაერთიანების მმართველის და იურისტის მიერ საკითხის შესწავლა. „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ში ცვლილების შეტანა. ცვლილების დამტკიცება. აქტივობის დაწყების სავარაუდო დრო 2025 წლის ნოემბერი, აქტივობის დასრულების სავარაუდო დრო 2026 წლის თებერვალი. შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა 4 თვე. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წრმოადგინა, ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველის ბრძანება:ბ32. 8425104001 (14.04.2025) , რომლითაც დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, სადაც (მუხლი 4)- განსაზღვრული აქვს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან საკომუნიკაციო არხები. როგორებიცაა: ა)პირისპირ შეხვედრები; ბ)დისტანციური შეხვედრები ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით ( Zoom); გ) მატერიალური კორესპონდენცია; დ)საინფორმაციო დაფები; ე)მოკლე ტექსტური შეტყობინებები; ვ)სატელეფონო ზარები; ზ)ელექტრონული ფოსტა; თ)სოციალური მედიის Facebook ჯგუფი (ა(ა)იპ) „ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“) ; ლ)სოციალური მედიის დახურული ჯგუფები.
დაწესებულებას შექმნილი ა ქვს ბაღის Facebook გვერდი : https://www.facebook.com/share/1BWCyGzHFT/?mibextid=wwXIfr
დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს დროს დადგინდა , რომ საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს აღნიშნულ საკომუნიკაციო არხებს.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

• საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი.

ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველის ბრძანება:ბ32. 8425104001 (14.04.2025) ;

• საკომუნიკაციო გეგმა.

ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველის ბრძანება: ბ32. 8425118001 (28.04.2025

• https://www.facebook.com/share/1BWCyGzHFT/?mibextid=wwXIfr

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

## 3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორის მოთხოვნიდან გამომდინარე, დაწესებულება უნდა უზრუნველყოფდეს ოჯახის ცნობიერების ამაღლებას: ბავშვის უფლებების შესახებ, ადრეული ასაკის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების შესახებ, ადრეული ასაკის ბავშვის განვითარების სპეციფიკის შესახებ.
დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმა , რომელიც დამტკიცებულია ბრძანებით: ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების" მმართველის რძანება: ბ32. 8425118001 (28.04.2025), სადაც გაწერილია დაწესებულების მიერ დაგეგმილი აქტივობები. აღნიშნული გეგმაში, ოჯახის ცნობიერების ამაღლების მიზნით , გაწერილია ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისი მხოლოდ ერთი აქტივობა: ოჯახის ცნობიერების ამაღლება „ბავშვის უფლებების სესახებ".
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის, დაწესებულებამ უზრუნველყოს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება როგორც ბავშვთა უფლებელის, ასევე ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით.

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობა: „საბავშვო ბაღის დირექციისა და საგანმანათლებლო პერსონალის მიერ საკომუნიკაციო გეგმაში კორექტირების შეტანა და ხარვეზის

აღმოფხვრა. ცვლილების დამტკიცება.“ აქტივობის დაწყების სავარაუდო დრო 2025 წლის ნოემბერი, აქტივობის დასრულების სავარაუდო დრო 2025 წლის დეკემბერი. შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა 2 თვე. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა: ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველის ბრძანება : ბ32. 84251018 (11.04.2025) , რომლითაც დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. წესში (მუხლი 8.)-გაწერილია „ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები“, აღნიშნულ წესში (მუხლი 9.) –„ ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა“,პუნქტებად გაწერილია ,რომ 1. „დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას“ და 2. ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიოერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.“ დაწესებულებაში ვიზიტისას დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს წესში გაწერილ დაკვირვებისა და შეფასების მეთოდებს, და აღნიშნეს რომ წესის შესაბამისად, იცინ როგორ გააცნოს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ბავშვის შეფასების შედეგები.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალიწინებული აქტივობების განხორციელებისას. კერძოდ, წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია ბრძანებით: ბ32. 8425118001 (28.04.2025) აღნიშნული საკომუნიკაციო გეგმა მოიცავს თემთან წინასწარ დაგეგმის აქტივობებს. დაწესებულებაში ვიზიტისად ინტერვიუს საფუძველძე საგანმანათლებლო პერსონალმა ისაუბრა სამომავლო გეგმებზე კურიკულუმის ფარგლებში თემის რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებით, თუმცა თემის რესურსის გამოყენება არ იკითხება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველის ბრძანება:ბ32. 8425104001 (14.04.2025)
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია
დაწესებულებამ გაწეროს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას თემში არსებული რესურსის გამოყენების წესი, სადაც განსაზღვრული იქნება პროცესებზე პასუხისმგებელი პირები. ასევე გაწეროს ინდიკატორით მოთხოვნილ ამოცანაზე კონკრეტული აქტივობები.
რჩევა
........................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობა: „საბავშვო ბაღების გაერთიანებაში ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის შეხვედრა და საკითხის განხილვა. „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ში ცვლილების შეტანა. ცვლილების დამტკიცება. ცვლილების საფუძველზე საკომუნიკაციო გეგმის კორექტირება. საკომუნიკაციო გეგმის ცვლილების დამტკიცება.“ აქტივობის დაწყების სავარაუდო დრო 2025 წლის ნოემბერი, აქტივობის დასრულების სავარაუდო დრო 2025 წლის დეკემბერი. შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა 2 თვე. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს, კერძოდ, აღნიშნული ვლინდება:
დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველის ბრძანება:ბ32. 8425104001 (14.04.2025) , რომლითაც დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი. ამავე წესში, (მუხლი 6.)განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა. 1. კომუნიკაციის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისთვის, სამიზნე

აუდიტორიასთან კომუნიკაციის ეფექტიანობის შესაფასებლად , საბავშვო ბაღების გაერთიანება იყენებს უკუკავშირის შემდეგ მექანიზმებს: ა)კითხვარები; ბ)წინადადების ყუთი; გ) ღია შეხვედრები; დ)სოციალური მედიის Facebook მონიტორინგი; ე) ანონიმური შეტყობინებები; ვ) კომუნიკაციის კონკრეტული არხით მოსარგებლთა მონიტორინგი;
ზ) სამიზნე აუდიტორიისგან უკუკავშირის მიღების სიჩქარის შემოწმება. ვიზიტისას, დაწესებულებამ წარმოადგინა შენიშვნების, წინადადებების ყუთი, და სოციალური მედიის Facebook ჯგუფი.
დაწესებულებას წესში გაწერილი აქვს უკუკავშირის მიღების არხები, თუმცა არ აქვს განსაზღვრული როგორ და რა პერიოდულობით განახორციელებენ მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებებს.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია
დაწესებულებამ ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველის ბრძანება:ბ32. 8425104001 (14.04.2025) , დამტკიცებულ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში (მუხლი 6) „განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა“, გაწეროს მექანიზმის სრული ციკლი და პერიოდულობა.
რჩევა
..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობა: „საბავშვო ბაღების გაერთიანებაში ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის შეხვედრა და საკითხის განხილვა. „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ში ცვლილების შეტანა. ცვლილების დამტკიცება. აქტივობის დაწყების სავარაუდო დრო 2025 წლის ნოემბერი, აქტივობის დასრულების სავარაუდო დრო 2025 წლის დეკემბერი. შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა 2 თვე. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1.საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი.
ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველის
ბრძანება:ბ32. 8425104001 (14.04.2025)
2.საკომუნიკაციო გეგმა
ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველის
ბრძანება:ბ32. 8425118001 (28.04.2025)
3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი.

ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების -საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველის ბრძანება : ბ32. 84251018 (11.04.2025)

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა[4]

### 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

### 4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

### 1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების სოფელ ქვიშხეთის #15 საბავშვო ბაღის მიერ წარმოდგენილი ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასების მიხედვით სოფელ ქვიშხეთის #15 საბავშვო ბაღში დასაქმებულია 14 ადამიანი, იგივე დგინდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საშტატო ნუსხითაც, დაწესებულების ორგანოგრამა ასახავს დასაქმებულთა იერარქიას, თუმცა სრულყოფილად ვერ ასახავს დასაქმებულთაა ოდენობას. ორგანოგრამაში წარმოდგენილია 12 თანამშრომელი და არ იკითხება 2 აღმზრდელის თანაშემწე, რომლებიც რეალურად მუშაობენ აღნიშნულ საბავშვო ბაღში.

ვიზიტის პროცესში დაწესებულებამ დამატებით ადგილზე წარმოადგინა ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ორგანოგრამა, სადაც ჩანს ყველა არსებული საშტატო ერთეული, თუმცა არასრულადაა

[4] აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

წარმოდგენილი დაქვემდებარების საკითხი, კერძოდ, გაერთიანების ორგანოგრამაში არ იკვეთება ექვემდებარება თუ არა დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი გაერთიანების მთავარ სპეციალისტს (სააღმზრდელო საკითხებში), რომელიც კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროცესების წარმართვას საბავშვო ბაღებში. სამოქმედო გეგმაში დასახული ამოცანების შესასრულებლად ზოგიერთი აქტივობის პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულნი არიან „საბავშვო ბაღის მეთოდისტები“, სოფელ ქვიშხეთის #15 საბავშვო ბაღს კი მეთოდისტი არ ჰყავს.

დაწესებულებას აქვს შინაგანაწესი. ასევე ცალკე გაწერილი აქვს უფლება-მოვალეობები თითოეული თანამშრომლისათვის, აღნიშნული ტექსტი დამოწმებულია ხელმოწერებით, რითაც დასტურდება, რომ პერსონალი იცნობს ტექსტის შინაარსს. საბავშვო ბაღში დასაქებული პერსონალის პირად საქმეებში ინახება მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც კონკრეტული ფუნქცია-მოვალეობების შესახებ ჩანაწერს არ შეიცავს.

ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების კუთხით პროცესების აღმწერ დოკუმენტში (დამტკიცებულია გაერთიანების მმართველის ბრძანებით ბ32.842518001 14/05/2025) განსაზღვრულია საბავშვო ბაღის მიერ სსსმ ბავშვებისათვის გაწეული მომსახურების შეფასება და შემდგომი გავითარება გაერთიანების სააღმზრდელო საკითხებში მთავარი სპეციალისტის მიერ. პერსონალის უფლება-მოვალეობებში აღმზრდელ-პედაგოგის ნაწილში ვკითხულობთ, რომ აღმზრდელ-პედაგოგი „მონაწილეობს მულტიდისციპლინარული გუნდის მუშაობაში“, რეალურად კი დაწესებულების ბაზაზე მსგავსი გუნდი არ არსებობს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**.

რეკომენდაცია

მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ შექმნას ისეთი სტრუქტურა/ორგანოგრამა, რომელიც სრულყოფილად ასახავს თითოეული თანამშრომლის პოზიციასა და თანამდებობრივ დაქვემდებარებას. ასევე, დაწესებულებამ უნდა შექმნას მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ ბავშვებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო მიდგომების განხორციელებას. მითუმეტეს, რომ მულტიდისციპლინური გუნდის შექმნა დაწესებულებას გაწერილი აქვს სამოქმედო გეგმაში.

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 2 თვის პერიოდზე.

კერძოდ: დაწესებულებამ სრულყოფილი სტრუქტურა/ორგანოგრამის შესაქმნელად, ასევე სამოქმედო გეგმით გაწერილი მულტიდისციპლინური გუნდის შესაქმნელად, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ ბავშვებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო მიდგომების განხორციელებას, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერა შემდეგი აქტივობები: საკითხის დაყენება საბავშვო ბაღების გაერთიანებაში; საბავშვო ბაღების გაერთიანების ორგანოგტამის ცვლილება; სამოქმედო გეგმაში პასუხისმგებელი პირების კორექტირება რედაქტირებული ორგანოგრამის საფუძველზე;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ექსპერტის შეფასება შეიცვალა **მეტწილი შესაბამისობით.**

## 2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს შინაგანაწესი (რომლის შეცვლილი ვერსია დამტკიცებულია ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების" დირექტორის #42 ბრძანებით 2016 წლის 11 აპრილი). ასევე ცალკე გაწერილი პერსონალის უფლება-მოვალეობები, სადაც ჩამოთვლილია თითოეული თანამშრომლის უშუალო ფუნქციები და პასუხისმგებლობები. ძირითად შემთხვევებში ეს ფუნქცია-მოვალეობები გამიჯნულია, თუმცა გვხვდება შემთხვევები, როცა ფუნქციების გადანაწილება სხვადასხვა დოკუმენტში სხვადასხვაგვარად, ან საერთოდ არ იკითხება, კერძოდ: გაერთიანების მმართველის მიერ #ბ32.84251013 ბრძანებით (11/04/2025) დამტკიცებული „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელ წესში" , ასევე დაწესებულების თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრულია გაერთიანების მმართველის #ბ32.8423195001 (14/07/2023) ბრძანებით და სოფელ ქვიშხეთის #15 საბავშვო ბაღის შემთხვევაში ასეთ პირად განსაზღვრულია საბავშვო ბაღის სამედიცინო პერსონალი (ექთანი). თუმცა, პროცესების აღმწერ დოკუმენტში ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში რეფერირების უზრუნველყოფაზე პროცესის მფლობელად განსაზღვრულია საბავშვო ბაღის დირექტორი, პერსონალის უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელ დოკუმენტში კი ექთანს მსგავსი ფუნქცია საერთოდ არ აქვს გაწერილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დოკუმენტები საჭიროებს ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას.

**ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

### რეკომენდაცია

მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ გადახედოს პერსონალის უფლება-მოვალეობების ამსახველ ჩანაწერებს და მოიყვანოს ერთმანეთთან თანხვედრაში. რეკომენდებულია დაწესებულების მიერ შეიქმნას სრულყოფილი დოკუმენტი, რომელშიც ზედმიწევნით გაწერილი და გამიჯნული იქნება თითოეული თანამშრომლის ფუნქციები, არ მოხდება მათი გაორება და პასუხისმგებლობების აღრევა სხვადასხვა დოკუმენტში.

### რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 3 თვის პერიოდზე.

კერძოდ: დაწესებულებამ პერსონალის უფლება-მოვალეობების ამსახველი ჩანაწერების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოსაყვანად შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერა შემდეგი აქტივობები: საკითხის დაყენება საბავშვო ბაღების გაერთიანებაში; საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველისა და იურისტის მიერ საკითხის შესწავლა და შინაგანაწესის დოკუმენტის მოყვანა კანონთან შესაბამისობაში; გასწორებული შინაგანაწესის დამტკიცება;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ექსპერტის შეფასება შეიცვალა **მეტწილი შესაბამისობით.**

## 3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების" პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილი აქვს ორი სხვადასხვა დოკუმენტით. ესენია: 1. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #74 (2018 წლის 2 ოქტომბერი) „ხაშურის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ"; 2. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #20 (2019 წლის 3 სექტემბერი) „ხაშურის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ". ასევე, პირველ დოკუმენტში გვხვდება ჩანაწერი (თავი III, მუხლი მე-6), რომ „სტრატეგიულ მართვაზე პასუხისმგებელ პერსონალს (მენეჯერს) აქვს საჯარო დაწესებულების მენეჯერის პროფესიული სტანდარტი - განისაზღვრება „ხაშურის მუნიციპალიტეტის ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების მენეჯერის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" დადგენილების შესაბამისად. აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცებამდე, უკვე მიღებული ჰქონდა მენეჯერის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დოკუმენტი, რომელიც დაწესებულებამ ვიზიტის პროცესში ვერ წარმოადგინა. თუმცა, საშუალება მოგვეცა ადგილზე შეგვესწავლა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #20 დადგენილებით (3 სექტემბერი, 2019 წელი) მიღებული დადგენილება „ხაშურის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ".

ორივე წარმოდგენილი დოკუმენტი განსაზღვრავს მოთხოვნებს საბავშვო ბაღის პერსონალის განათლების, სამუშაო გამოცდილებისა და სხვა უნარ-ჩვევების შესახებ.

ასეევე, დაწესებულებას ჰყავს ერთი აღმზრდელ-პედაგოგი, რომლის მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით #478 (2017 წლის 27 ოქრომბერი) დამტკიცებული „აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტით".

დაწესებულებაში ვიზიტის პროცესში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ სოფელ ქვიშხეთის #15 საბავშვო ბაღის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარეე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..............................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია, გადაიხედოს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018-2019 წლებში მიღებული დადგენილებები ხაშურის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დადგენის შესახებ და მოვიდეს ეს დოკუმენტები შესაბამისობაში არსებულ კანონმდებლობასთან.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..............................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................

## 4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა პერსონალის პირადი საქმეები, რომლითაც დადგინდა, რომ კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად, ჯგუფების პერსონალს - ერთი ჯგუფის აღმზრდელსა და მეორე ჯგუფის აღმზრდელის თანაშემწეს, ასევე საბავშვო ბაღის ექთანს აქვთ პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია, რაც დასტურდება 2025 წლის თებერვლით დათარიღებული  შესაბამისი სერტიფიკატებით: ტრენინგი -  „სიცოცხლის გადარჩენის, პირველადი სამედიცინო დახმარების და ავტომატური გარეგანი ელექტროდეფიბრილაციის გავრცობილი კურსი“.

დაწესებულების სტრუქტურა ორგანოგრამაში აღმზრდელის თანაშემწე მოაზრებულია, როგორც საგანმანათლებლო პერსონალი, თუმცა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #74 (2018 წლის 2 ოქტომბერი) „ხაშურის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ IV თავი განსაზღვრავს საბავშვო ბაღის ტექნიკური პერსონალის პროფესიულ სტადარტებს მე-14 მუხლი დასათაურებულია შემდგნაირად: „ჯგუფის დამხმარე პერსონალის (აღმზრდელის თანაშემწე) პროფესიული სტანდარტები“. აღნიშნული ჩანაწერიდანაც დასტურდება, რომ საბავშვო ბაღის არმზრდელის თანაშემწე საგანმანათლებლო პერსონალად ვერ ჩაითვლება. შესაბამისად, მხოლოდ ერთი ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალს აქვს შესაბამისი კომპეტენცია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კუთხით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის  მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს კანონმდებლობის მოთხოვნა, რაც ეხება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის ფლობას და უზრუნველყოს შესაბამისი ტრენინგების დაგეგმვა/განხორციელება.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის პერიოდზე.

კერძოდ: დაწესებულებამ ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის პირველადი გადაუდებელი დახმარების კომპეტენციების უზრუნველსაყოფად შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერა შემდეგი აქტივობები: დაწესებულების ორგანოგრამის კორექტირება (საგანმანათლებლო პერსონალიდან აღმზრდელის თანაშემწის ამოღება); ტენდერის საშუალებით პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგების განმახორციელებელი ორგანიზაციის შერჩევა/მოძიება; ტრენინგით მომსახურების შესყიდვა;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ექსპერტის შეფასება შეიცვალა **მეტწილი შესაბამისობით.**

## 4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

### 1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დანართად წარმოდგენილი აქვს „პერსონალის მართვიის მარეგულირებელი დოკუმენტი", რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების მმართველის ბრძანებით (#ბ32.84251015 (11/04/2025). დაწესებულებას ასევე აქვს შინაგანაწესი, რომლის შეცვლილი ვერსია დამტკიცებულია ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების" დირექტორის #42 ბრძანებით (2016 წლის 11 აპრილი).

„პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი" განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის უწყვეტ ციკლს, დაწესებულების სტრუქტურას, სამუშაო აღწერილობების რაობას, კადრების შერჩევის პრინციპებსა და მექანიზმებს, ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის მექანიზმებს, შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი დოკუმენტების აღწერას, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლებსა და ა.შ.

შინაგანაწესი მოიცავს ინფორმაციას პერსონალის სამუშაო დროისა და დასვენების/შვებულების შესახებ, შრომის ანაზღაურების გაცემის წესის, ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობების შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შინაგანაწესი პერსონალისათვის (დაკავებული პოზიციების განურჩევლად) განსაზღვრავს 40 საათიან სამუშაო კვირას. 09:00-18:00 ზოგადად და სტრუქტურული ერთეულებისათვის 08:30-15:00 საათი. გათვალისწინებულია ერთსაათიანი შესვენების დრო, რომელიც განსაზღვრულია 13:00-14:00 საათზე. აქვე მე-3 თავის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულია, რომ „ა(ა)იპ-ის სტრუქტურულ ერთეულებში შესვენება განისაზღვრება მონაცვლეობითი გრაფიკით".

პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი დასაზუსტებელია მოსაყვანია კანონმდებლობასთან, ასევე, დაწესებულების სხვა დოკუმენტებთან შესაბამისობაში.
ვიზიტის პროცესში შესწავლილი იქნა პერსონალის პირადი საქმეები, რითაც დადგინდა, რომ დაწესებულების თანამშრომლების პირადი საქმეები მოიცავს კანონმდებლობით დადგენილი ფორმითა და მოქმედების განსაზღვრული ვადით/უვადოდ გაფორმებულ შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ დოკუმენტს - შრომით ხელშეკრულებას.
ასევე, ვიზიტის პროცესში დოკუმენტების შესწავლით გაირკვა, დაწესებულებას არ აქვს შედგენილი პერსონალის სამუშაო აღწერილობები, ამის ნაცვლად გვხვდება უფლება-მოვალეობების ჩამონათვალი თითოეული პიზიციის მიხედვით და ყველა თანამშრომელს გაკეთებული აქვს საკუთარი უფლება-მოვალეობის დოკუმენტზე ხელმოწერა შინაარსის გაცნობის დასადასტურებლად.
**ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი დასაზუსტებელია მოსაყვანია კანონმდებლობასთან, ასევე, დაწესებულების სხვა დოკუმენტებთან შესაბამისობაში. ასევე, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პერსონალის სამუშაო აღწერილობების შექმნა და გაცნობა თითოეული თანამშრომლისათვის.

რჩევა
....................................................................................................................................................................................................................
....................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 3 თვის პერიოდზე.
კერძოდ: დაწესებულებამ პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად, ასევე, პერსონალის სამუშაო აღწერილობების შესაქმნელად და თითოეული თანამშრომლისათვის გასაცნობად შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერა შემდეგი აქტივობები: საკითხის დაყენება საბავშვო ბაღების გაერთიანებაში; საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველისა და იურისტის მიერ პრობლემის შესწავლა; პერსონალის სამუშაო აღწერილობების შემუშავება; პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის კანონთან შესაბამისობაში მოყვანა; მარეგულირებლის დამტკიცება;
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ექსპერტის შეფასება შეიცვალა **მეტწილი შესაბამისობით.**

## 2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების შინაგანაწესში ზოგადად განსაზღვრულია პერსონალის სამუშაო დროის ხანგრძლივობა და შესვენების პერიოდი, თუმცა დოკუმენტი არ განსაზღვრავს საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს აღმზრდელ-პედაგოგებისათვის. საგანმანათლებლო პერსონალთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა და მათი პირადი საქმეების შესწავლამ (სადაც განთავსებულია შრომითი ხელშეკრულებებიც) დაადასტურა, რომ დაწესებულების აღმზრდელ-პედაგოგს არ აქვს განსაზღვრული არასაკონტაქტო დრო და მისი სამუშაო დღე შედგება მხოლოდ საკონტაქტო პერიოდისაგან. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების მიხედვით ამის მიზეზია არასაკმარისი საშტატო ერთეულები.
აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრა დაწესებულებას გაწერილი აქვს სოფელ ქვიშხეთის #15 საბავშვო ბაღის შესაბამისობის გეგმაში.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
დაწესებულებამ დადგენილ ვადაში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გაწერილი საგანმანათლებლო პერსონალისათვის საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების გამიჯვნა და ასახვა შრომითი ურთიერთობების მომწესრიგებელ დოკუმენტებში.
რჩევა
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულებას აქვს გაერთიანების მმართველის მიერ ბრძანებით დამტკიცებული (#ბ32.84251015 11/04/2025) „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“, რომელიც განსაზღვრავს თანამშრომელთა შერჩევისა და დანიშვნის პროცედურებს.
მარეგულირებელი დოკუმენტის მე-3 თავის მე-9 მუხლი განსაზღვრავს დაწესებულებაში თანამშრომლის ვაკანტურ პოზიციაზე დანიშვნის გზებს (პირდაპირი დანიშვნა ან კონკურსის (ღია /დახურული) საფუძველზე). მე-2 პუნქტში ვკითხულობთ: „ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გზებით დანიშვნისას დაწესებულებაში დაცულია ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პარამეტრები“.
მარეგულირებელი დოკუმენტი შესაძლებლად ცნობს როგორც პირდაპირი წესით თანამშრომელთა მიღებას, ისე ღია და დახურული კონკურსების გზით. მარეგულირებელი წესის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტში ვკითხულობთ: „პირდაპირი დანიშვნის გზით პერსონალის შერჩევის დროს,

დაწესებულება ეყრდნობა ვაკანტური პოზიციის მიმართ დადგენილ სამუშაო აღწერილობას“, ეს უკანასკნელი კი დაწესებულებას ამ დრომდე არ გააჩნია.

მარეგულირებელი დოკუმენტის მე-17 მუხლის 1-ლ პუნქტში ვკითხულობთ: „პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის ბრძანებით დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.“ მოქმედი კანონმდებლობით კი განსაზღვრულია, თუ რომელი უწყებებია უფლებამოსილი, დაადგინონ საბავშვო ბაღის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ესაა ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანო (მუნიციპალიტეტის საკრებულო).

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა შეიმუშავოს თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები კანონმდებლობის შესაბამისად, რასაც მომავალში დაეყრდნობა ვაკანტურ პოზიციებზე პერსონალის აყვანის დროს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესში გაწერილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 3 თვის პერიოდზე.

კერძოდ: დაწესებულებამ პერსონალის სამუშაო აღწერილობების შესაქმნელად შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერა შემდეგი აქტივობები: საკითხის დაყენება საბავშვო ბაღების გაერთიანებაში; საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველისა და იურისტის მიერ პრობლემის შესწავლა; პერსონალის სამუშაო აღწერილობების შემუშავება; პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის კანონთან შესაბამისობაში მოყვანა; მარეგულირებლის დამტკიცება;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ექსპერტის შეფასება შეიცვალა **მეტწილი შესაბამისობით.**

## 4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში“ მე-18 მუხლით განსაზღვრულია დაწესებულებაში ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის გზები. მოცემულია ადაპტაციის მექანიზმები, რაც ახალ თანამშრომელს მისცემს შესაძლებლობას სრულყოფილად გაეცნოს დაწესებულების მისიასა და ორგანიზაციულ კულტურას, ასევე, შეძლოს გუნდის მუშაობაში სრულფასოვან წევრად ჩართვა და საკუთარი ადგილის დამკვიდრება. მარეგულირებელი წესი მოიცავს იმ მიდგომებისა და სტრატეგიების ერობლობას, რაც დაეხმარება

ნებისმიერ ახალ თანამშრომელს ადაპტაციის პროცესის უმტკივნეულოდ გავლაში. როგორც ინტერვიუებიდანაც დადგინდა, გასულ წლებში საბავშვო ბაღში პერსონალის მართვის მარეგგულირებელი დოკუმენტის დამტკიცებამდეც არსებობდა გამოცდილი თანამშრომლების მიერ ახალი პერსონალისთვის გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა, რაც მნიშვნელოვნად უწყობდა და მომავალშიც შეუწყობს ხელს დაწესებულების ერთ-ერთი ღირებულების „გუნდურობის“ ჩამოყალიბებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................................

## 5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულემაში მოქმედებს ორგანიზაციული კულტურა, რომელიც ეფუძნება ურთიერთპატივისცემასა და გუნდური მუშაობის პრინციპებს. გუნდურობა, როგორც ერთ-ერთი მთავარი ღირებულება დაწესებულებას დეკლარირებული აქვს საკუთარ მისია, ხედვა, ღირებულებების დოკუმენტში. „გუნდური მუშაობა - დაწესებულების პერსონალის და მშობლების გუნდურობა. ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობები“ - ვკითხულობთ ღირებულებების ამსახველ ჩანაწერში. „პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესის“ მე-18 მუხლში განსაზღვრულია, თუ როგორ უზრუნველყოფს დაწესებულება ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას ორგანიზაციაში, განსაკუთრებით ხაზგასასმელია ამავე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის ჩანაწერში წარმოდგენილი მენტორინგის პრაქტიკა, რაც გულისხმობს ახალი თანამშრომლისათვის საკუთარი ცოდნის გაზიარებას გამოცდილი თანამშრომლის მიერ. აღნიშნული დოკუმენტებიდან, ასევე პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე ირკვევა, რომ დაწესებულებას ნამდვილად აქვს მძლავრი ორგნიზაციული კულტურა, რომელიც ეფუძნება ურთიერთპატივისცემასა და გუნდური მუშაობის პრინციპებს,

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................

## 4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების მმართველის მიერ ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი" მოიცავს თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებისა და საჭიროებათა კვლევის ასპექტებს. წესში შეფასების კონკრეტული ვადები დაზუსტებული არაა, თუმცა, მითითებულია, რომ დაწესებულება ამას სისტემატურად განახორციელებს. შეფასებას ექვემდებარება ყველა თანამშრომელი, გარდა იმისა, ვისაც ჯერ არ შესრულებია დასაქმებიდან სამი თვე. მარეგულირებელ წესში განსაზღვრულია როგორც ქმედებები, რომლებიც უნდა შეფასდეს და მეთოდები, რომელთა საშუალებითაც დაწესებულება ახორციელებს მოკვლევას, ასევე, შეფასების პროცესის ეტაპები. ამავე წესის თანახმად, შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის. ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ ვინაიდან მარეგულირებელი წესი ახალი დამტკიცებულია, მასში აღწერილი პრაქტიკა საბავშვო ბაღს ჯერ არ განუხორციელებია, თუმცა, თანამშრომლები იცნობენ პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის შინაარსს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

„პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესში“(დამტკიცებულია გაერთიანების მმართველის ბრძანებით #ბ32.84251015 11/04/2025) ნათქვამია, რომ დაწესებულება ახორციელებს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. ამავე დოკუმენტში იკითხება, რომ თანამშრომლების სისტემატური შეფასების შედეგები გამოიყენება მიზნობრივი პროფესიული განვითარების დასაგეგმად. დაწესებულება თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული თანამშრომლის საჭიროებებსა და სამუშაოს სპეციფიკაზე მორგებულ სერვისს როგორც დაწესებულების შიდა რესურსით, ისე გარე პროვაიდერების მიერ განხორციელებული სერვისების ფარგლებში. პერსონალის პროფესიულ საჭიროებებს დაწესებულება ასახავს სამოქმედო გეგმაში, სადაც გაწერილია პასუხისმგებელი პირები და დაფინანსების წყაროები აღნიშნული ამოცანების უზრუნველსაყოფად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში (დამტკიცებულია გაერთიანების მმართველის ბრძანებით #ბ32.84251282 08/05/2025) გაწერილია სტრატეგიული მიზანი 2. - პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, რომელიც მოიცავს სამ აქტივობას:

2.1.1. „ტრენინგის ჩატარება ბავშვთა დაცვის რეფერირების შესახებ;

2.1.2. „პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგის განხორციელება პერსონალისათვის“;

2.1.3. „ჰასპის დანერგვის ტრენინგი“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებას გააზრებული აქვს თუ როგორ დაგეგმოს პერსონალის საჭიროებებზე მორგებული პროფესიული განვითარების პროცესი მათივე შეფასებების შედეგებზე დაყრდნობით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

### რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას „პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესში“ გაწერილი აქვს თანამშრომელთა განვითარებასთან დაკავშირებული რეგულაციები. კერძოდ, პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესი იგეგმება საჭიროებათა კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ასევე, განსაზღვრულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისება დაწესებულების მიერ. ინიციატივები შეიძლება მოდიოდეს პერსონალის მხრიდან წერილობითი ფორმით ან ზეპირსიტყვიერად.

„პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესში“ ვკითხულობთ, რომ დაწესებულებას აქვს ზემოაღნიშნული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი, რაც გამოიხატება პერსონალთან გამართულ პერიოდულ შეხვედრებში, სადაც მათ ეძლევათ შესაძლებლობა, დააფიქსირონ საკუთარი ინიციატივები და იდეები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*1. დაწესებულების სტრუქტურა/ორგანოგრამა;*

*2.პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები;*

*3. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი (დამტკიცებულია გაერთიანების მმართველის ბრძანებით #ბ32.84251015 11/04/2025)*

*4. შინაგანაწესი;*

*5. პერსონალის პირადი საქმეები;*

*6. ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სამოქმედო გეგმა - 2025*

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.1. პერსონალის მართვა და განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.2. პროცესების მართვა

## 4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

### 1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასების დანართად წარმოდგენილი აქვს ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველის ბრძანებით (ბ32.842518001 14/05/2025) დამტკიცებული დოკუმენტი „პროცესების ღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა“. არნიშნულ დოკუმენტში დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები:

**მმართველობითი პროცესები:**
სტრატეგიული დაგეგმვა;
ხარისხის უზრუნველყოფა;

**ძირითადი პროცესები:**
კურიკულუმის შერჩევა/შემუშავება, განხორციელება, შეფასება და განვითარება;
საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება;
ბავშვების რაოდენობის მართვა (რეგისტრაცია, ჩარიცხვა, ამორიცხვა);
სსსმ ბავშვების მომსახურება;
ოჯახთან და თემთან ურთიერთობა;

**დამხმარე პროცესები:**
ადამიანური რესურსების მართვა;

მარეტიალური რესურსის მართვა;
საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა);
პერსონალის და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვა;
ფინანსური რესურსების მართვა;
სანიტარულ-ჰიგიენური პროცესების მართვა;
ბავშვთა კვების უზრუნველყოფის პროცესების მართვა;
სხვა სერვისები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................

## 2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს მარეგულირებელი დოკუმენტი „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა“. აღნიშნულიდან დგინდება, რომ დაწესებულება მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს ახორციელებს ხარისხის ციკლის შესაბამისად. ხარისხის განვითარების ციკლი ეფუძნება დემინგის „PDCA“ სქემას. აღნიშნული სისტემა დაფუძნებულია თვითშეფასებაზე და გულისხმობს დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეებს დადგენას მათი შემდგომი განვითარების/გაუმჯობესების მიზნით. დოკუმენტით გათვალისწინებული ხარისხის უზრუნველყოფისათვის დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს „ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი“, რომელიც პასუხისმგებელია დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების იდენტიფიცირებაზე, პროცესებთან დაკავშირებული რისკებისა და პროცესების მიმდინარეობის ხარისხის შეფასებაზე. როგორც ვიზიტის პროცესში დაწესებულების საშტატო ნუსხის შესწავლით დადგინდა, ორგანიზაციას ამ დრომდე არ ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რაც ართულებს დაწესებულების მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ხარისხის უზრუნველყოფას.აღნიშნული პერსონალი არც სოფელ ქვიშხეთის #15 საბავშვო ბაღის შესაბამისობის გეგმაშია განსაზღვრული.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გამართვისთვის რეკომენდებულია, დაწესებულებამ ამ მიმართულებით გამოყოს პასუხისმგებელი პირი - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი/ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე გაითვალისწინოს, რომ ხარისხი უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შეთავსებით არ შეიძლება იყოს რომელიმე სხვა პროცესის ე.წ. „მფლობელი" - სხვა პროცესის განმახორციელებელი, რადგან ამ შემთხვევაში სახეზე იქნება პირდაპირი ინტერესთა კონფლიქტი. მნიშვნელოვანია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების მფლობელების სამუშაო აღწერილობა და ფუნქცია-მოვალეობები ასევე პასუხობდეს პროცესების მართვაში გაწერილ პასუხისმგებლობებს.

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 6 თვის პერიოდზე.

კერძოდ: დაწესებულებამ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გამართვისათვის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერა შემდეგი აქტივობები: საშტატო ნუსხაში ხარისხის მენეჯერის შეყვანა; კადრის შერჩევა; ხელშეკრულების დადება;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ექსპერტის შეფასება შეიცვალა **მეტწილი შესაბამისობით.**

## 3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დანართად დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი", რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების მმართველის ბრძანებით (#ბ32.84251016 11/04/2025). წესი განსაზღვრავს დაწესებულებაში ბავშვების ჩარიცხვის, გადაყვანისა და ამორიცხვის პირობებს, სარეზერვო სიების წარმოების წესსა და ამ პროცესებზე პასუხისმგებელ პირს. ამავე წესში ვკითხულობთ, რომ დაწესებულებაში ბავშვთა ჩარიცხვა-ამორიცხვის პერიოდულობა და ვადები განისაზღვრება გაერთიანების მმართველის ბრძანებით. ვიზიტის პროცესში დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების მმართველის ბრძანება #ბ32.8425093001 03/04/2025 „ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების" სტრუქტურულ ერთეულებში ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის პერიოდულობა და ვადები". ამავე ბრძანებით განსაზღვრულია პრიორიტეტული ჯგუფები, რასაც დაწესებულება ჩარიცხვის პროცესში ითვალისწინებს.

ზემოაღნიშნული დოკუმენტებით დგინდება, თუ როგორ მიმდინარეობს დაწესებულებაში აღნიშნული პროცედურები. მარეგულირებელ დოკუმენტს დანართად ახლავს მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში და აღსაზრდელთა საბავშვო ბაღში ჩარიცხვის რეგისტრაციის ფორმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულებამ წარმოადგინა ახალი 2025-2026 სასწავლო წლისთვის დარეგისტრირებული

ბავშვების საერთო სია. ვინაიდან ვიზიტამდე დაწესებულებას უკვე განხორციელებული ჰქონდა ბავშვთა რეგისტრაცია ახალი 2025-2026 სასწავლო წლისათვის, ვიზიტის პროცესში საბავშვო ბაღმა წარმოადგინა მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად ბავშვების რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტები და ჩარიცხული ბავშვების სია. მარეგულირებელი წესის დანართი - „აღსაზრდელთა საბავშვო ბაღში ჩარიცხვის რეგისტრაცია" შევსებული თითოეულ ბავშვზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ მარეგულირებელ წესს აქვს ორი დანართი (დანართი #1, დანართი #2). ორივე მათგანის დასახელებაა: „აღსაზრდელთა საბავშვო ბაღში ჩარიცხვის რეგისტრაცია". დანართების შინაარსი ძირითადად მსგავსია, თუმცა, დანართი #2 თანდართული დოკუმენტაციის ნაწილში დამატებით შეიცავს წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს:
მშობლის/მეურვის პირაადობის მოწმობის ასლები;
*სამედიცინო დაწესებულბის რეკომნდაცია ბაღში მიღებაზე;*
*ნებართვა ბავშვის ფოტო/ვიდეო გადაღებასა და საჯაროდ გამოქვეყნების შესახებ;*
*ნებართვა კურიკულუმის ფარგლებში ბავშვის დაწესებულების გარეთ დაგეგმილ ღონისძიებებზე გაყვანის შესახებ;*
დანართი #2 -ის დამოწმება ხდება საბავშვო ბაღის დირექტორისა და მშობლის ხელმოწერებით.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

......................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

......................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

......................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას პერსონალის პირადი საქმეების წარმოების ფორმა განსაზღვრული აქვს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით" (დამტკიცებულია გაერთიანების მმართველის ბრძანებით #ბ32.84251015 11/04/2025). 22-ე მუხლი აზუსტებს პერსონალის პირადი საქმეების შემადგენელი დოკუმენტების ჩამონათვალს. ამავე მუხლში აღნიშნულია, რომ პირადი საქმეები დაცულია არასანქცირებული წვდომისაგან. ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა თანამშრომელთა პირადი საქმეები, აღმოჩნდა, რომ პირადი საქმეები მოიცავს შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ ხელშეკრულებებს, პერსონალის უფლება-მოვალეობების ამსახველ დოკუმენტებს, რომლის შინაარსის გაცნობასაც

თანამშრომლების ხელმოწერით ადასტურებენ. პირად საქმეებში, აგრეთვე, ინახა პერსონალის მხრიდან შინაგანაწესის გაცნობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
რაც ეხება ბავშვების პირად საქმეებს, აღნიშნული წესის მე-5 მუხლით განსაზღვრულია დოკუმენტების ჩამონათვალი, რაც მშობელმა უნდა წარმოადგინოს რეგისტრაციის ეტაპზე ხელშეკრულების გაფორმებამდე. დოკუმენტს მე-10 მუხლით ამ წესის დაცვაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია დაწესებულების მთავარი სპეციალისტი საგანმანათლებლო დარგში. აღნიშნულ პროცესებზე პასუხისმგებლობა იკვეთება პროცესების აღმწერებშიც.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
*1. „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა“ (დამტკიცებულია გაერთიანების მმართველის ბრძანებით ბ32.842518001 14/05/2025);*
*2. „ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სტრუქტურულ ერთეულებში ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის პერიოდულობა და ვადები“ (გაერთიანების მმართველის ბრძანება #ბ32.8425093001 03/04/2025);*
*3. „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“ (დამტკიცებულია გაერთიანების მმართველის ბრძანებით #ბ32.84251016 11/04/2025);*
*4. დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები;*

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.2 პროცესების მართვა** | | | |
| შეესაბამებ.ა ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.3. მატერიალური რესურსი

### 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.3 მატერიალური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

### 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

### 4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

## 4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება საკუთარ ტერიტორიაზე უზრუნველყოფს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას. ავტორიზაციის მაძიებელს ჰყავს სამედიცინო პერსონალი - ექთანი, რომელიც ყოველდღიურად, სამუშაო საათების განმავლობაში იმყოფება დაწესებულებაში. ავტორიზაციის მაძიებელს არ აქვს ექთნის ოთახი, მაგრამ ადმინისტრაციულ ოთახში გამოყოფილია კარადა, რომელიც აღჭურვლია პირველადი გადაუდებელი დახმარების შეუფერხებლად აღმოჩენისათვის საჭირო სამედიცინო ნივთებით. ექთანს გავლილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კურსი, რაც დასტურდება მის პირად საქმეში არსებული სერტიფიკატით. დაწესებულებას აქვს სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვისა და დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვის ჟურნალი.

რაც შეეხება საგანგებო სიტუაციებში რეაგირების სამოქმედო გეგმას, დაწესებულებას მსგავსი დოკუმენტი ამ ეტაპზე არ აქვს. ვიზიტის პროცესში დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების მმართველის მიმართვა, რომლის ადრესატია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია. მიმართვაში საუბარია, რომ ავტორიზაციის პროცესში ჩართული სამი საბავშვო ბაღისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. გაერთიანების მმართველი მიმართავს თხოვნით, რათა მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა სამსახურებმა გაუწიონ კონსულტირება აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პროცესში. გაერთიანების მმართველის მიერ ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ საგანგებო სიტუაციებში რეაგირების სამოქმედო გეგმას შემუშავების შემდეგ წარუდგენენ უფლებამოსილ ორგანოს შესათანხმებლად.

სოფელ ქვიშხეთის #15 საბავშვო ბაღს აღნიშნული შეუსაბამობა წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმაში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვასთან დაკავშირებული შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის მითითებულ დროში განხორციელება;

.................................................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.................................................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.................................................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში არსებობს მის ტერიტორიაზე არსებული მცენარეების ჩამონათვალი, რომლითაც ვერ დგინდება დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები წარმოადგენენ თუ არა საფრთხეს ბავშვებისა და პერსონალის ჯანმრთელობისათვის.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რეკომენდირებულია, საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე არსებული მცენარეების აღწერა ხორციელდებოდეს შესაბამისი კომპეტენტური პირის მიერ, ასევე მნიშვნელოვანია, მცენარეების რეესტრში არსებული ინფორმაცია მოიცავდეს მონაცემებს მცენარის უსაფრთხოების შესახებ პერსონალის/ბავშვის ჯანმრთელობასთან მიმართებით.

რჩევა

.................................................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის პერიოდზე.

კერძოდ: დაწესებულებამ საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე არსებული მცენარეების კომპეტენტური პირის მიერ აღწერისა და მცენარეთა რეესტრის სრულყოფილად წარმოებისათვის, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერა შემდეგი აქტივობები: საკითხის განხილვა საბავშვო ბაღების

გაერთიანებაში; ნუსხის მიხედვით ყოველი მცენარის უსაფრთხოების შეფასება სპეციალისტის ჩართულობით; საჭიროების შემთხვევაში საფრთხის შემცველი მცენარეების მოშორება საბავშვო ბაღის ეზოდან;
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ექსპერტის შეფასება შეიცვალა **მეტწილი შესაბამისობით.**

### 3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
ბავშვების პირადი საქმეები მოიცავს მშობლის თანხმობას კურიკულუმის მიზნებისათვის ბავშვების ტერიტორიიდან გაყვანის თაობაზე. აღნიშნული განსაზღვრულია „ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესის“ დანართი #2 -ით დამტკიცებულ „აღსაზრდელთა საბავშვო ბაღში ჩარიცხვის რეგისტრაციის“ ფორმაში. თუმცა, ავტორიზაციის სტატუსის მაძიებელს არ აქვს შემუშავებული კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ტერიტორიიდან გაყვანის უსაფრთხოების წესები.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**
რეკომენდაცია
დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს  და გაწეროს კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ტერიტორიიდან გაყვანისთვის უსაფრთხოების წესები/პროცედურები, რასაც შემდგომ დაიცავს ყოველ ჯერზე ბავშვების ბაღის ტერიტორიიდან გაყვანისას და, აგრეთვე,  გაუზიარებს მშობლებს/ კანონიერ წარმომადგენლებს.
რჩევა
..................................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 6 თვის პერიოდზე.
კერძოდ: დაწესებულებამ კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების საბავშვო ბაღის ტერიტორიიდან გაყვანისათვის უსაფრთხოების წესების გაწერისა და შემდგომ უზრუნველყოფისათვის, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერა შემდეგი აქტივობები: საკითხის განხილვა საბავშვო ბაღების გაერთიანებაში; კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ტერიტორიიდან გაყვანის უსაფრთხოების წესების შემუშავება;
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ექსპერტის შეფასება შეიცვალა **მეტწილი შესაბამისობით.**

## 4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

### 1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საბავშვო ბაღის გარემო ისეა ორგანიზებული, რომ პროგნოზირებადია თითოეული ბავშვისათვის.

საბავშვო ბაღში ფუნქციონირებს ორი შერეულასაკობრივი სააღმზრდელო ჯგუფი, ორივე ჯგუფის ოთახებში თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია ვიზუალური დღის განრიგი, რაც ბავშვებს დროისა და დღის აქტივობების თანმიმდევრულობის აღქმაში ეხმარება. ვიზუალური დღის განრიგი ბავშვებს უქმნის გარკვეულ მოლოდინებს მიმდინარე დღის მიმართ. ჯგუფებში ასევე გამოყოფილია შეხვედრების სივრცე. როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა, საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს ბავშვებისათვის ვიზუალური დღის განრიგით ყოველდღიურად დაგეგმილი აქტივობების გაცნობის პრაქტიკას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების მმართველის ბრძანებით რეფერირებაზე უშუალო პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სოფელ ქვიშხეთის #15 საბავშვო ბაღის ექთანი (ბრძანება #ბ32.8423195001 14/07/2023). როგორც აღნიშნული თანამშრომლის პირადი საქმის შესწავლით ირკვევა, მას გავლილი აქვს სწავლება ბავშვთა უფლებებისა და ძალადობის რეფერირების საკითხებთან დაკავშირებით. საბავშვო ბაღის ექთანთან გამართული ინტერვიუდან დგინდება, რომ აღნიშნული სწავლების დასრულების შემდეგ გათვალისწინებულია პრეზენტაციის მომზადება ბავშვთა უფლებების შესახებ მშობლების მონაწილეობით, სადაც განხილული იქნება ძალადობის საკითხები და რეფერირების პროცედურები.

პერსონალთან ინტერვიუებიდან იკვეთება, საბავშვო ბაღს აქვს გამოცდილება და მზაობა მოაწყოს შეხვედრები პერსონალისა და მშობლების მონაწილეობით სხვადასხვა საკითხის, მათ შორის კი ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................................................

### 3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ავტორიზაციის სტატუსის მაძიებელს თვითშეფასების დანართად წარმოდგენილი აქვს გაერთიანების მმართველის ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი" (ბრძანება #ბ32.842510113 11/04/2025), რომელიც განსაზღვრავს გაერთიანების როლს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემაში, ძალადობის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმებს და პასუხისმგებელ პირებს. მარეგულირებელი წესის მე-4 მუხლის 1-ლ პუნქტში ვკითხულობთ, რომ „რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი განისაზღვრება საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის ბრძანებით (#ბ32.8423195001 14/07/2023) ინდივიდუალურად თითოეული სტრუქტურული ერთეულისათვის. აღნიშნული ბრძანებით სოფელ ქვიშხეთის #15 საბავშვო ბაღში რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სამედიცინო პერსონალი - ექთანი, რომელსაც გავლილი აქვს ტრენინგი ბავშვთა უფლებებისა და ძალადობის რეფერირების საკითხებთან დაკავშირებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ დაწესებულება ხელს უწყობს თავისი აღსაზრდელების გარემოსთან ადაპტაციასა და ტრანზიციას.

ამ მიზნით დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სხვადასხვა მიდგომის გამოყენება, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა „ღია კარის დღეების“ ორგანიზებას და მშობელთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო წლის დასაწყისში. როგორც ინტერვიუებით დადგინდა, სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებისათვის განსაზღვრულია პერიოდი, როცა სასურველია მათი ყოფნა საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე ბავშვებთან ერთად. მშობლებს შეუძლიათ, როგორც შენობაში, ისე ეზოში ჩაერთონ მრავალფეროვან თამაშებსა და აქტივობებში ბავშვებთან ერთად, რაც მნიშვნელოვნად აადვილებს ტრანზიციის პროცესს.

დიდ ტრანზიციებში უნდა აღინიშნოს საბავშვო ბაღის თანამშრომლობა სოფელში არსებულ საჯარო სკოლასთან და თემში არსებულ სხვა სამსახურებთან.

აგრეთვე, საბავშვო ბაღს აქვს საინტერესო ინიციატივები ერთობლივი ორგანიზებით ბავშვებისათვის სახალისო აქტივობების, ექსკურსიების მოწყობის შესახებ, რაც ბავშვებს უმარტივებს საბავშვო ბაღის გარემოსთან ადაპტაციასა და უმტკივნეულო ტრანზიციას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

## 5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას გაცნობიერებული აქვს კონფიდენციალურიბის დაცვის მნიშვნელობა. ბავშვების სარეგისტრაციო ფორმა, რომელიც დამტკიცებულია „ბავშვთა ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესის“ დანართად (#2) მოიცავს მშობლის თანხმობის/უარყოფის

გაცხადების ვალდებულებას საბავშვო ბაღის მიერ ბავშვის ფოტო/ვიდეო გადაღების და, საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული მასალის სოციალურ ქსელში განთავსების შესახებ.
ზემოხსენებული მარეგულირებელი დოკუმენტის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „მ" ქვეპუნქტში ვკითხულობთ, რომ ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად დაამუშავოს შეგროვებული/მოპოვებული ბავშვის პერსონალური მონაცემები.
დაწესებულებაში პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებლობა შეთავსებული აქვს გაერთიანების იურისტს.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
*1. „ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესის დანართი #2 - „აღსაზრდელთა საბავშვო ბაღში ჩარიცხვის რეგისტრაციის" ფორმა;*
*2. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის დამადასტურებელი სერტიფიკატი;*
*3. დღის განრიგი;*
*4. „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი" (ბრძანება #ბ32.842510113 11/04/2025);*
*5. „რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება (#ბ32.8423195001 14/07/2023);*

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.7. ფინანსური რესურსი

### 4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

#### 1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

„ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანება“ კანონმდებლობის შესაბამისად ფინანსდება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განსაზღვრული სუბსიდიით. ორგანიზაციას აქვს ბიუჯეტი, რომელიც განსაზღვრულია კალენდარული წლის შესაბამისად.

დაწესებულების სამოქმედო გეგმა მოიცავს რიგ აქტივობებს, რომელთა შესასრულებლად აუცილებელია მოიძებნოს ფინანსური რესურსი (მაგალითად საგანმანათლებლო პერსონალისათვის საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განსაზღვრა, რაც გამოიწვევს ახალი საშტატო ერთეულების დამატებას). იმის გათვალისწინებით, რომ თვითმმართველობის მიერ ააიპ-ისათვის გამოყოფილი სუბსიდია წლის განმავლობაში შესაძლოა რამდენჯერმე დაკორექტირდეს/გაიზარდოს, მუნიციპალიტეტის მზაობის შემთხვევაში დაწესებულების სამოქმედო გეგმის უზრუნველყოფა სავსებით რეალისტურია. თუმცა, ამ ეტაპზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტში სამოქმედო გეგმის სრულყოფილად დადგენილ ვადებში განხორციელების საფუძველი არ დასტურდება.

**აღნიშნულიდან გამოდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვით (მიმდინარე 2025 წლის) ვერ დგინდება, რამდენად უზრუნველყოფს დამფუძნებლის მიერ გამოყოფილი სუბსიდია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შეუფერხებელ განხორციელებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ წარმოადგინოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა კონკრეტულ კომპონენტზეც და უზრუნველყოს გაწერილი აქტივობების შესაბამის დროში განხორციელება.

რჩევა

................................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 2 თვის პერიოდზე.

დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერა შემდეგი აქტივობები: საკითხის განხილვა საბავშვო ბაღების გაერთიანებაში; საბავშვო ბაღების გაერთიანების ფინანსისტის ჩართულობით ბიუჯეტის მუხლების შედარება სამოქმედო გეგმის ფინანსურ საჭიროებებთან; საბავშვო ბაღების ბიუჯეტის კორექტირება და ორივე დოკუმენტის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ექსპერტის შეფასება შეიცვალა **მეტწილი შესაბამისობით.**

## 2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების ბიუჯეტი განსაზღვრულია 2025 კალენდარული წლისათვის. აღნიშნული დოუმენტი მოიცავს ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სხვადასხვა ტიპის ხარჯების უზრუნველყოფის ფინანსურ დადასტურებას. დაწესებულების ყოველწლიური ბიუჯეტი იგეგმება დამფუძნებლის მიერ გამოყოფილი სუბსიდიის ფარგლებში. ბიუჯეტი დაგეგმილია მუხლობრივად საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით და ნაწილდება შემდეგნაირად:

- შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება;
- მივლინებები;
- საოფისე ხარჯები;
- კვების ხარჯები;
- სამედიცინო ხარჯები;
- რბილი ინვენტარისა და უნიფორმის
- შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა- შენახვის ხარჯები;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება;
- კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული ხარჯები;

ბიუჯეტში კონკრეტულად კურიკულუმით განსაზღვრული მიზნებისათვის გამოყოფილი რესურსის ხარჯები ცალკე მუხლად არ არის ასახული, დაწესებულების ბიუჯეტში განსაზღვრული „სხვა ხარჯების“ მუხლი მოიაზრებს რესურსის ხარჯებს სხვა დანარჩენ ხარჯებთან ერთად, ამ მიზეზით რთული დასადგენია, რამდენად შესაძლებელია არსებული სუბსიდიის ფარგლებში კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევა. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

მნიშვნელოვანია, ფინანსურ დოკუმენტში იკითხებოდეს, თუ როგორ უზრუნველყოფს დაწესებულება მისი ძირითადი ფუნქციის - საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესების მხარდაჭერას კურიკულუმის მიზნებთან თანხვედრაში. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, მაქსიმალურად მკაფიოდ გაწეროდ ბიუჯერის მუხლებში ის საჭიროებები, რაც აუცილებელია კურიკულუმის მიზნების მისაღწევად.

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 4 თვის პერიოდზე.
დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერა შემდეგი აქტივობები: საკითხის განხილვა საბავშვო ბაღების გაერთიანებაში; საბავშვო ბაღების მთავარი სპეცილისტების შემადგენლობით სამუშაო ჯგუფის შექმნა; სამუშაო ჯგუფის მუშაობის შემდეგ გეგმის შედგენა, რის მიხედვითაც კურიკულუმით განსაზღვრული მიზნებისათვის გამოყოფილი რესურსების ხარჯები გამოიყოფა ცალკე მუხლად;
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ექსპერტის შეფასება შეიცვალა **მეტწილი შესაბამისობით.**

## 3. დაწესებულებას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

„ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანებისათვის" თვითმმართველობის „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანებისათვის" თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდიის ეფექტური განკარგვა, ასევე ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების შესყიდვის კანონმდებლობის ფარგლებში განხორციელების მონიტორინგი ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო და აუდიტის სამსახურების მიერ. ასევე, არსებობს ყოველკვარტალური ე.წ. გეგმის შესრულების დამფუძენლისათვის წარდგენის მექანიზმი, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაციის ფინანსური ჯგუფი.გაუთვალისწინებელი საჭიროებების შემთხვევაში, დაწესებულება წერილობით მიმართავს დამფუძნებელს თანხის დამატების თხოვნით. შესაძლებლობის ფარგლებში ხდება არგუმენტებით დამტკიცებული საჭიროებების გათვალისწინება და თანხის დამატება. ასევე დაწესებულების მხრიდან ხორციელდება ფინანსური რესურსის განკარგვა, საბავშვო ბაღებისთვის მატერიალური, საგანმანათლებლო რესურსის გადაცემა ფორმდება მიღება-ჩაბარებებით. აღნიშნული ფინანსური ჯგუფი სხვა ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად ჩართულია ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში, რაც დოკუმენტს უფრო მოქნილს და საჭიროებებზე მორგებულს ხდის. თუმცა არაა შემუშავებული რაიმე სისტემა, რომელიც დაეფუძნება ხარისხის ციკლს და მოიცავს ციკლის ეტაპებს (დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, გადახედვა/გაუმჯობესება) რის მიხედვითაც დაწესებულება განახორციელებს ფინანსური რესურსის დაგეგმვას, განკარგვასა და მონიტორინგს.
**აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დაგეგმვას თითოეული საბავშვო ბაღის საჭიროებების გათვალისწინებით, რესურსების მიზნობრივ განკარგვას, მონიტორინგსა და შეფასებას. მნიშვნელოვანია უშუალოდ საბავშვო ბაღების ჩართულობა დაგეგმვის პროცესში, რაც უზრუნველყოფს საჭიროებებზე მორგებული სისტემის ორგანიზებას.

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის პერიოდზე.

დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერა შემდეგი აქტივობები: საკითხის განხილვა საბავშვო ბაღების გაერთიანებაში; საბავშვო ბაღების მთავარი სპეცილისტების შემადგენლობით სამუშაო ჯგუფის შექმნა; სამუშაო ჯგუფის მუშაობის შემდეგ გეგმის შედგენა, რის მიხედვითაც დაწესებულება განახორციელებს ფინანსური რესურსის დაგეგმვასა და მონიტორინგს;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ექსპერტის შეფასება შეიცვალა **მეტწილი შესაბამისობით.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. . ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სამოქმედო გეგმა - 2025;
2. . ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების“ 2025 წლის ბიუჯეტი;

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.7 ფინანსური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

# ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

| 1. სავალდებულო დანართის დასახელება |
|---|
| ვიზიტის დღის წესრიგი |

| |
|---|
| 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |
| 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |
| 4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |

| დანართის N | 2. სხვა დანართის დასახელება |
|---|---|
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |

**თარიღი:** 14/11/2025

| **ხელმომწერი** | **სახელი გვარი** | **ხელმოწერა** |
|---|---|---|

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე**

*ხარისხის ექსპერტი* მარიამ გოგობერიშვილი



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

*კურიკულუმის ექსპერტი:* ია ალადაშვილი



*კვების დარგში ექსპერტი:* ნინო მელიქიძე



*სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი:*
ნათია ზაზაშვილი



დანართი №1

## 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: (ა)იპ "ხაშურის მუნნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანება"<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): ხაშურის მუნიციპალიტეტტის სოფელ ქვიშხეთის #15 საბავშვო ბაღი | ბრძანების N: MES 4 25 0000675383 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი:ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვიშხეთი, მე-5 ქუჩა, #5 (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | ვიზიტის თარიღი: 8 - 9 ივლისი 2025 წელი |

კრიტერიუმი 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

| N | ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;<br>2.შენობა-ნაგებობის სქემა;<br>3.დაწესებულების ინვენტარიზაციის დოკუმენტი;<br>4. „ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“;<br>5. შესაბამისობის გეგმა<br>6.<br>7. |
| 2 | დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |
| 3 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით; | ☑ | | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან | | ☐ | | | დაწესებულებას არ აქვს აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ. თუმცა, აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრა გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმით. დაწესებულებას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული და დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, თუმცა აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრა გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმით. | დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. | | |
| | დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობის სქემა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებას აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| 2 | | | | | | | | | |
| 2.1. | დაწესებულებას აქვს შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აქტი (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის ნებართვა გაიცემულია 2023 წლის 21 თებერვლის შემდეგ) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 2.2. | მოთხოვნები დაწესებულების შენობა-ნაგებობის მიმართ | | | | | | | | |
| | დაწესებულება განთავსებულია პირველ, პირველ და მეორე, პირველ, მეორე და მესამე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ ან/და მეორე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **მესამე სართულზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსებულია:** | | | | | დაწესებულება განთავსებულია ერთსართულიან შენობაში. | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ღია სარეკრეაციო სივრცეები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასკოლო მზაობის ჯგუფ(ებ)ი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე  სასკოლო მზაობის ჯგუფების განთავსების შემთხვევაში:** | | | | | | | | |
| | ამავე სართულზე განთავსებულია სანიტარული კვანძ(ებ)ი ბავშვებისათვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მესამე სართულის კიბის უჯრედს კიბის დასაწყისში აქვს დამცავი ბარიერი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.3.** | **დაწესებულებაში, შიდა და გარე ტერიტორიაზე, განთავსებულია შემდეგი სავალდებულო სივრცეები:** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახ(ებ)ი  ან/და კურიკულუმის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე - საერთო სივრცე, ამასთან ყველა ჯგუფი უზუნველყოფილია ინდივიდუალური ჯგუფრი ოთახით ან კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე შერჩეული საერთო სივრცით ბავშვზე არანაკლებ 2კვმ. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულება განთავსებულია ერთსართულიან შენობაში. ორივე სააღმზრდელო ჯგუფი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური ჯგუფური ოთახებითა და საძინებლებით. ორივე ჯგუფს აქვს ინდივიდუალური გასახდელი სივრცეები, სადაც თითოეული ბავშვისათვის განკუთვნილია კარადა პირადი ნითების შესანახად. კარადის თითოეულ განყოფილებას აქვს ორი ერთეული საკიდი. დაწესებულებას აქვს სანიტარული კვანძი პერსონალისათვის და ადმინისტრაციული სამყოფები, მათ შორის სივრცე თანამშროვმლობითი საქმიანობისათვის.  დაწესებულებას არ აქვს დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისათვის/დარბაზი და აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრა დაწესებულებას გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმით. დაწესებულებას აქვს სამედიცინო სივრცე - ექთნის კაბინეტი, კვების ბლოკი და სამეურნეო ზონა - შენობის ცენტრალური გატბობის სისტემით შეუფერხებლად უზრუნველყოფისათვის საბავშვო ბაღის ეზოში განთავსებულია შენობა, სადაც დამონტაჟებულია წყლის გამათბობელი დანადგარები. დაწესებულების შენობას აქვს მცირე დახრის მქონე პანდუსი, რაც შესაძლებელს ხდის შენობაში შეღწევადობას, თუმცა ეზოს შემოსასვლელთან მდებარე კიბეზე პანდუსი არ არის მოწყობილი, რაც გამორიცხავს საბავშვო ბაღის ეზოში შესვლასა და შენობამდე მისვლას გადაადგილების სირთულეების მქონე პირებისათვის. აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრა დაწესებულებას გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმით. დაწესებულების ტერიტორიაზე არ გამოიყენება აზბესტის შემცველი მასალა . | დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. | | |
| | საძინებელი ოთახი/მოსასვენებელი სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული და სკოლამდელი განათლების პირველი წლის ჯგუფებში საძინებელი სივრცე განთავსებულია იმავე სართულზე, სადაც ჯგუფური ოთახებია | ☑ | | | | | | | |
| | გასახდელი ზონა, რომელშიც გამოყოფილია სივრცე თითოეული ბავშვისთვის პირადი ნივთების შესანახად | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძი ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძი/კაბინა პერსონალისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები (მათ შორის სივრცე თანამშრომლობითი საქმიანობისთვის) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | თუ დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი განთავსებულია ნახევარსარდაფში, აღნიშნული სივრცე უზრუნველყოფილია გათბობის სისტემით და  ბუნებრივი განათება-განიავების პირველადი წყაროთი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილი სამედიცინო მომსახურების სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კვების ბლოკი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სამეურნეო ზონა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ბავშვების ჯგუფური ოთახ(ებ)ი განთავსებულია პირველ სართულზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ჯგუფის ბავშვებისთვის დაწესებულებაში გამოყოფილია სპეციალური სივრცე მეძუძური დედებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა მიზნებისთვის, დაწესებულების პროგრამებში ჩართული ბავშვებისთვის მოწყობილია ინდივიდუალური/იზოლირებული შესასვლელი შენობაში | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, სადაც ამავდროულად ხდება სხვა ტიპის მომსახურების მიწოდება სხვა ასაკის ბავშვებისთვის,  ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფური ოთახები განთავსებულია შენობის პირველ სართულზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის პანდუსი ან/და ლიფტი/ზაქან ლიფტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მცირეკონტიგენტიან დაწესებულებაში (არაუმეტეს 2 ჯგუფი/60 ბავშვი) გათბობის წყაროდ გამოყენებულია დახურულ ზედაპირიანი ელექტროგამათბობელი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების შიდა სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით, რაც უზრუნველყოფს სივრცეში ბავშვების მარტივ ორიენტაციას | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის გამოყენებული აზბესტის შემცველი მასალა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 2.4. | **მოთხოვნები სანიტარული კვანძების მოწყობის მიმართ - დაწესებულებას გააჩნია, კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი რაოდენობის მოქმედი ტუალეტის კაბინები და ხელსაბანები ბავშვებისთვის და პერსონალისათვის (WASH ინდიკატორი)** | | | | | | | | |
| | დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის უნიტაზი - ყოველ 15 ბავშვზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში არის 8 ერთეული საბავშვო ზომის უნიტაზი და ორი ერთეული ღამის ქოთანი, თუმცა, სანიტარულ კვანძებში არ არის დაცული პრივატულობა. ასევე, დაწესებულებაში არ არის ადაპტირებული სანიტარული კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის. დაწესებულებას არ აქვს ადაპტირებული სანიტარული კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრული პირებისათვის. აღნიშნული შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შესაბამისობის გეგმა. ბავშვების სანიტარულ კვანძებში არ არის საბავშვო ზომის ხელსაბანები და არც შესაბამისობის გეგმითაა გათვალისწინებული აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრა. | დაწესებულებამ უზრუნველყოს საბავშვო სანიტარული კვანძების აღჭურვა შესაბამისი ზომისა და ოდენობის ხელსაბანებით. დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობების განხორციელება ამავე გეგმით განსაზღვრულ ვადებში. | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 24 თვემდე პერიოდზე. კერძოდ " საბავშვო ბაღების გაერთიანებაში საკითხის დაყენება, რასაც მოჰყვება გაერთიანების ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა და გამარტივებული შესყიდვის წესით ზღვრული ოდენობის შესაბამისი საბავშვო ზომის ხელსაბანების შეძენა. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება შეიცვლება "ნაწილობრივი" შესაბამისობით. |
| | დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის ხელსაბანი ნიჟარა - ყოველ 20 ბავშვზე | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის 1 საბავშვო ზომის პისუარი - ყოველ 20 ბიჭზე (არსებობის შემთხვევაში) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის 1 საბავშვო ზომის ღამის ქოთანი - ყოველ 10 ბავშვზე (არსებობის შემთხვევაში, გარდა სასკოლო მზაობის ჯგუფებისა) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში მოქმედ სანიტარიულ კვანძებში პრივატულობის დაცვის მიზნით: მოწყობილია ტუალეტის კაბინები და ტუალეტის კაბინის კარი იღება გარეთ, აწეულია იატაკის დონიდან და იკეტება შიგნიდან გარედან გაღების შესაძლებლობით | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **ბავშვებისთვის** (ზრდასრულის და ბავშვების ადაპტირებული კაბინების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) **(WASH ინდიკატორი)** | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **ზრდასრული პირებისთვის** (ზრდასრულის და ბავშვების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) **(WASH ინდიკატორი**) | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების სანიტარული კვანძებისა და სამრეცხაოს ფანჯრები არ არის განთავსებული ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის ფანჯრების ქვეშ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 2.5. | **მოთხოვნები დაწესებულების ეზოს/გარე სივრცისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ეზო ან/და გარე სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას აქვს შემოსაზღვრული ეზო, რომლის მთლიანობაც ნაწილობრივ დარღვეულია და არსებული მესერი არ არის მყარი, ასევე | დაწესებულებამ უზრუნველყოს | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვემდე პერიოდზე. კერძოდ "საკითხის დაყენება საბავშვო ბაღების გაერთიანებაში საბავშვო |
| | ეზოს/გარე სივრცის მინიმალური ფართი ერთ ბავშვთან მიმართებაში არის არანაკლებ 3 კვ.მ. (აღნიშნული თანაფარდობა დაცულია იმ შემთხვევაშიც თუ დაწესებულება მდებარეობს სახელმწიფო სარგებლობაში არსებული სარეკრეაციო ზონის ტერიტორიაზე/მომიჯნავედ და იყენებს მას. სარეკრეაციო ზონის კერძო საკუთრებაში არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებას გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება/მემორანდუმი სარეკრეაციო ზონის მფლობელთან ტერიტორიის გამოყენებასთან დაკავშირებით) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ეზო/გარე სავრცე შემოფარგლულია არანაკლებ 1,6 მ სიმაღლის მყარი შემოზღუდვით/ღობით. არსებობის შემთხვევაში, ვერტიკალური ღიობები არ აღემატება 0,1 მ-ს. შემოზღუდვას/ღობეს არ აქვს ბასრი კიდეები, წვეტიანი, გამოშვერილი ნაწილები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს მასთან დაჯახების შემთხვევაში. | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | ზოგიერთ ადგილზე მესერის სიმაღლე არ აღემატება 150 სანტიმეტრს. დაწესებულების ეზოს ნაწილი დაფარულია ბეტონის საფარით, ასევე საბავშვო ბაღის მთავარი შემოსასვლელის კიბეზე არ არის მოწყობილი პანდუსი. აღნიშნული შეუსაბამობების აღმოფხვრა დაწესებულებას გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმით. | საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა სტანდარტით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით. | | ბაღების ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა, საჭირო მასალის შეძენა და სპეციალისტების (მუშების) მიერ ნესერის სიმყარის და სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისი სიმაღლის უზრუნველყოფა".აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება შეიცვლება "მეტწილი" შესაბამისობით. |
| | გარე სივრცედ შენობის სახურავის გამოყენების შემთხვევაში, ყველა სავენტილაციო დგარი დაჯგუფებულია და ცდება სახურავის დონეს არანაკლებ 3მ-ის სიმაღლეზე. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა საქმიანობისთვის, დაწესებულების ეზოში/გარე სივრცეში გამოყოფილია იზოლირებული სივრცე ბავშვებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.6.** | **ეზოში/გარე სივრცეში განთავსებულია ქვემოთ ჩამოთვლილი სავალდებულო აღჭურვილობა და სივრცეები (შესაძლებელია გამოყენებული იქნეს როგორც ინდივიდუალური, ისე კომბინირებული კონსტრუქცია)** | | | | | | | | |
| | მზისგან და წვიმისაგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულების ეზოში განთავსებულია მზისგან და წვიმისაგან დამცავი საშუალება, საქვიშე, სათამაშო სახლი სკამები და მაგიდები, ასევე სივრცე დრამატული თამაშებისათვის, გასაძრომი კონსტრუქციები, სივრცე მოწყობილი სენსორული განვითარებისათვის. დაწესებულებას ეზოში არ აქვს სასრიალო, საქანელა და საცოცი კონსტრუქციები, რომლების განთავსებულია საბავშვო ბაღის მომიჯნავედ არსებულ მუნიციპალურ ტერიტორიაზე. დაწესებულებას არ აქვს ბალანსის მოწყობილობა ეზოს ტერიტორიაზე. აღნიშნული შეუსაბამობების აღმოფხვრა დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს შესაბამისობის გეგმით. ბაღის ეზოს წინ განთავსებულია ქუჩის გარე განათების ლამპიონები | | | |
| | სასრიალო | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საქანელა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საქვიშე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სათამაშო სახლი/კარავი/სივრცე განმარტოებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სკამები/ დასაჯდომი და მაგიდა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სივრცე მოწყობილი და აღჭურვილი დრამატული თამაშებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საცოცი/ასაძრომი და გასაძრომი კონსტრუქციები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ბალანსის აღჭურვილობა | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | სივრცე მოწყობილი სენსორული განვითარებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოს/ გარე სივრცის მოწყობილობები ითვალისწინებს ბავშვის ასაკსა და სიმაღლეს, დამზადებულია გლუვზედაპირიანი მასალისაგან, ხოლო კონსტრუქციული გადაწყვეტა უსაფრთხოა გამოყენების დროს, იგი დამაგრებულია მყარად, არ არსებობს ტრამვის საფრთხე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობების განხორციელება ამავე გეგმით განსაზღვრულ ვადებში. | | |
| | ეზოში/ გარე სივრცეში იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია ბავშვის გადმოხტომა ან გადმოვარდნა 50 სმ და მეტი სიმაღლიდან, ზედაპირი დაფარულია რბილი საფარით (მაგ. ხის ანათალით, ნახერხით, ბალახის საფარით, ქვიშით, რბილი ხელოვნური ზედაპირით და სხვა.) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოს/გარე სივრცის თავშეყრის ადგილებში (მაგრამ არა ფიზიკური აქტივობის ზონებში) გამოყენებულია მოცურების საწინააღმდეგო ზედაპირი, რომელიც ამ თვისებას დასველების შემთხვევაშიც ინარჩუნებს (დასაშვებია - ასფალტი, დაღერღილი ქვა, ხაოიანი ზედაპირის კერამიკული ფილები და მათი ანალოგი. აკრძალულია შემდეგი ტიპის ზედაპირის გამოყენება - პრიალა ქვის ფილები, ბეტონი, მახვილკიდეებიანი ფილები, უხეში ღორღი. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოს/ გარე სივრცის ტერიტორიაზე არის განათების წყარო, რაც უზრუნველყოფს შენობამდე დაუბრკოლებლად მისვლას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.7.** | **მოთხოვნები ფიზიკური უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით** | | | | | | | | |
| | **ფანჯრების და მინის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | მინის ტიხრები და კედლები, ასევე შიდა კარები, რომელიც ნაწილობრივ შემინულია, უნდა დამზადდეს მსხვრევის საწინააღმდეგო ფირით დაფარული ან ნაწრთობი მინისგან ან ისეთი ტექნოლოგიით, რომ დამსხვრევის შემთხვევაში არ შეუქმნას საფრთხე ადამიანის უსაფრთხოებას. (თუ შემინული კედელი ბავშვისთვის მისაწვდომი არ არის, მაშინ მინის საგანგებოდ შერჩევის საჭიროება არ არსებობს.) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მინის გარე ვიტრაჟთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მდებარეობს მინიმუმ 100 სმ. სიმაღლის დამცავი ბარიერი, რომლის კონსტრუქციის ტიპით გათვალისწინებულია ვერტიკალური დგარები ან ბრტყელი ზედაპირი. დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. ბარიერის ზედაპირის სიმაღლე გამორიცხავს მასზე ბავშვის ასვლის შესაძლებლობას. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულეაში არ არის მინის ტიხრები, კედლები, ვიტრაჟები, უჩარჩოო მინის კარები. ჯგუფის ოთახებში ფანჯრის რაფის სიმაღლე სხვადასხვანაირია, ძირითადად იატაკის დონიდან 87 სანტიმეტრია, ასევე დაწესებულების შენობის ფანჯრებზე იმ სივრცეებში, სადაც ბავშვები ხვდებიან, არ არის მოწყობილი მყარად ჩამაგრებული, ნაქსოვი დამცავი ბადე და მისი ჩამჭრელი მოწყობილობა. აღნიშნული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად დაწესებულებას აქვს ჩანაწერი შესაბამისობის გეგმაში. | დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობების განხორციელება ამავე გეგმით განსაზღვრულ ვადებში. | | |
| უჩარჩოო მინის კარები და მინის ელემენტების შემცველი კარები მარკირებულია, მინის კარების ფრთები მომიჯნავე მინის კედლებისაგან განსხვავებულად არის მარკირებული. კარების სახელურები კარების ფერთან კონტრასტული ფერისაა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| მინის კარებზე მარკირება არის ჰორიზონტალურად, ორ სიმაღლეზე - 90 სმ და 150 სმ შესაბამისად.<br>მარკირება არის ძირითად ფონთან კონტრასტული და დატანილი შუშის ორივე მხარეს, რაც ამცირებს ანარეკლს. მარკირების ველი არის არანაკლებ 5 სმ სიგანის. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| თუ ჯგუფურ უჯრედში ფანჯრის რაფის სიმაღლე იატაკის დონიდან 90 სმ-ზე ნაკლებია, ფანჯრის გარე/შიდა მხრიდან მოწყობილია დამცავი ბარიერი არანაკლებ 100 სმ სიმაღლისა, რომლის კონსტრუქციის ტიპით გათვალისწინებულია ვერტიკალური დგარები ან ბრტყელი ზედაპირი. დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. ბარიერის ზედაპირის სიმაღლე გამორიცხავს მასზე ბავშვის ასვლის საშუალებას | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| დაწესებულების ყველა იმ სივრცეში, სადაც ბავშვები ხვდებიან და სადაც ფანჯრებზე მოწყობილია გაღების მექანიზმი, მოწყობილია კედლებში მყარად ჩამაგრებული და დაჭიმული ნაქსოვი ბადის ბარიერი, რომლის მასალა და მოწყობის სპეციფიკაცია უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხოებას და საჭიროების შემთხვევაში, ბადის უმოკლეს დროში ჩაჭრას. ნაქსოვი ბადის კონსტრუქციით გათვალისწინებულ დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ-ს და გათვლილია არანაკლებ 30 კგ-ზე. | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| იმ ფანჯრებზე, სადაც მოწყობილია დამცავი ბადე, ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე განთავსებულია ბადის ჩაჭრისთვის საჭირო მოწყობილობა | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| **კიბის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| კიბის უჯრედი მოპირკეთებულია გლუვი, მოცურების საწინააღმდეგო მასალით, რომელიც ინარჩუნებს თავის თვისებებს სველ მდგომარეობაშიც | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | საბავშვო ბაღს არ აქვს კიბე, ვინაიდან შენობა ერთსართულიანია, თუმცა, შესასვლელი დერეფნისა და სანიტარული კვანძების ზედაპირები დაფარულია სრიალა ფილებით, რაც ეწინააღმდეგება უსაფრთხოების მოთხოვნებს. აღნიშნული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად დაწესებულებას გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმა, თუმცა გეგმაში არ არის მითითებული აქტივობის განხორციელების ვადები. დაწესებულების ეზოს შესასვლელში ჭიშკართან განთავსებულია კიბე, რომელსაც მხოლოდ ერთ მხარეს მიუყვება მოაჯირი. | დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად დააზუსტოს გონივრული ვადები და იმოქმედოს დაზუსტებული ვადების შესაბამისად დაწესებულებამ ასევე უზრუნველყოს ეზოში შესასვლელი კიბის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვემდე პერიოდზე. კერძოდ "საკითხის დაყენება ბაღების გაერთიანებაში, გაერთიანების ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფა, გამარტივებული შესყიდვის წესით კიბის მოაჯირის შეძენა და დამონტაჟება“ .აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება შეიცვლება "მეტწილი" შესაბამისობით. |
| თუ იატაკის ზედაპირი განსხვავებული დონისაა და წარმოქმნის საფეხურს ან/და თუ შენობის შიდა/გარე კიბის საფეხურები არ არის ერთნაირი გეომეტრიის (საფეხურის ზომების, სიღრმისა და სიმაღლის მიხედვით), კიბის დასაწყისში და დასასრულს და ასევე განსხვავებულ საფეხურზე, საფეხურის მთელ სიგანეზე გამოყენებულია თვითწებვადი ლენტი/კონტრასტული ფერები/განსხვავებული სტრუქტურის მასალა/საფეხურის განათებები/გარჩევადი გამაფრთხილებელი ნიშნები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| დაწესებულებაში კიბის უჯრედის სახელურის სიმაღლე ბავშვებისათვის არის 50 (+ - 5 სმ) სმ. უფროსებისათვის კი არანაკლებ – 85 სმ. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| შენობაში არ არის ხვეული კიბეები (არსებობის შემთხვევაში არ გამოიყენება) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| კიბეს ორივე მხრიდან მიყვება მოაჯირი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას ესაზღვრება კედელი/კედლები) და უწყვეტი სახელური | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| კიბის მოაჯირის კონსტრუქცია არის ვერტიკალური დგარებით ან ბრტყელი ზედაპირით. ვერტიკალური დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. მოაჯირებზე/სახელურზე არ არის წვეტიანი ელემენტები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| თუ კიბის სიგანე 500 სმ-ს აღემატება, კიბეზე განთავსებულია დამატებითი მოაჯირი/მოაჯირები. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **კუთხეების/კოლონების/კედლების უსაფრთხოება** | | | | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დაწესებულებაში, ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, კოლონებსა და კედლის კუთხეებს აქვთ 0,5 სმ-იანი რადიუსის მომრგვალება ან კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულების შენობაში არ არის კოლონები, თავშეყრის ადგილებში კედლის კუთხეებს აქვს 0.5 სმ-იანი რადიუსის მომრგვალება. შენობის იმ სივრცეებში, სადაც ბავშვები ხვდებიან არ არის მახვილკუთხეებიანი გამათბობლები. | | | |
| კოლონებზე  და სხვა მსგავს ბარიერებზე მარკირება განთავსებულია სამ სიმაღლეზე: იატაკის დონეზე და იატაკის დონიდან 90 სმ და 150 სმ-ზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| ბავშვთა თავშეყრის ადგილებში,  200 სმ-ის სიმაღლემდე არ არის ბასრი კიდეები, წვეტიანი გამოშვერილი ნაწილები და არანაირი ისეთი ელემენტები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| შენობის იმ სივრცეებში, სადაც ბავშვები ხვდებიან, მახვილი კუთხის მქონე გამათბობლები დაფარულია ეკრანით ან ცხაურით, რომელთა კონსტრუქციული მოწყობაც უზრუნველყოფს   სველი წესით დასუფთავებას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **ინვენტარის უსაფრთხოება** | | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დაწესებულებაში ბავშვთა თავშეყრის ადგილებში არსებული დენსართები განლაგებულია ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე. იმ დენსართებისთვის, რომლებიც ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია, უზრუნველყოფილია უსაფრთხოების დაცვა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დენსართები განთავსებულია იატაკიდან 137 სმ სიმაღლეზე. განათებისათვის გამოყენებულია არამსხვრევადი მასალა. შენობაში ავეჯი მყარადაა დამაგრებული. ჯგუფურ ოთახებში მაგიდებისა და სკამების რაოდენობა შეესაბამება ბავშვთა რაოდენობას შენობაში არ არის სარკე. | | | |
| | ნათურები დაფარულია დამცავი ფარით ან გამოყენებულია არამსხვრევადი მასალით დამზადებული ნათურა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სარკე (არსებობის შემთხვევაში) დამზადებულია დრეკადი მასალით ან სარკის ზედაპირი დაფარულია დამცავი ფირით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | შენობაში ავეჯი მყარად არის  დადგმული/მიმაგრებული იატაკზე ან  კედელზე და უსაფრთხოა ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ჯგუფურ ოთახში მაგიდებთან ადგილების რაოდენობა და სკამების რაოდენობა შეესაბამება ჯგუფში ბავშვთა რაოდენობას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **ბავშვისთვის განკუთვნილი მაგიდებისა და სკამების ძირითადი ზომები შეესაბამება ქვემოთ მოცემულ ცხრილს (მოთხოვნილი პროგრამის შესაბამისი ასაკობრვი ჯგუფების შესაბამისად),  არასტანდარტული ბავშვის სიმაღლის ასაკთან შესაბამისად  გამოყენებულია მისი სიმაღლის შესაფერისი მაგიდა და სკამი** | | | | | | | | |
| | 0-დან 2 წლამდე -  მაგიდა 34-38სმ; სკამი18-21სმ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას აქვს: 4 სკამი სიმაღლით - 26 სმ, 59 სკამი სიმაღლით - 31 სმ.  1 მაგიდა(ოთხადგილიანი) - 46სმ, 20 მაგიდა(ოთხადგილიანი) - 54 სმ 2 ერთეული გრძელი სკამი სიმაღლით - 34 სმ. | | | |
| | 2-დან 3 წლამდე მაგიდა 40-44სმ/; სკამი 22-26სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | 3- დან 5 წლამდე  მაგიდა 46-50სმ; სკამი 27-30სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | 5-დან 6 წლამდე  მაგიდა 52-56სმ; სკამი 31-35სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **საწოლები ბავშვების ასაკის შესაბამისი ზომისაა:** | | | | | | | | |
| | 0-დან 3 წლამდე სიგრძე არანაკლებ 120სმ, სიგანე 60 სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას აქვს ორსართულიანი ორადგილიანი საწოლები: 3 ერთეული საწოლი - 120X64 სმ, 12 ერეული საწოლი - 150X60სმ დაწესებულებას ჯგუფურ ოთახებში თაროები და კარადები განთავსებულია ბავშვის სიმაღლეზე. დაწესებულებას აქვს ინტერნეტთან წვდომის მქონე კომპიუტერი და მრავალფუნქციური პრინტერი. დაწესებულებას სკოლამდელი აღზრდის პირველი წლის ასაკის მქონე ბავშვების ჯგუფში არ აქვს საფენების გამოსაცვლელი მაგიდა, სათავსი საფენებისათვის და სათლი ავტომატური სატერფულით. ამ დანიშნულებით დაწესებულებას მოწყობილი აქვს ოთხადგილიანი საბავშვო მაგიდა და ზემოდან დაფენილი აქვთ ე.წ. პამპერსი-ზეწარი.ეს უკანასკნელი დაწესებულებას არ აქვს გაწერილი შესაბამისობის გეგმაში. | დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. ასევე, უზრუნველყოს საფენების გამოსაცვლელ მაგიდასთან დაკავშირებული შეუსაბამობის გაწერა შესაბამისობის გეგმაში. | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 7 თვემდე პერიოდზე. კერძოდ "საკითხის დაყენება საბავშვო ბაღების გაერთიანებაში, საბავშვო ბაღების გაერთიანების ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა, საფენების გამოსაცვლელი მაგიდის და სატერფულიანი სათლის შეძენა.“აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება შეიცვლება "მეტწილი" შესაბამისობით. |
| | 3-დან 6  წლამდე სიგრძე 140 სმ-ია, სიგანე 60სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში უზრუნველყოფილია: მაგარ ძირიანი გასაშლელი საწოლები და ლეიბები/  1 ან 2-სართულიანი საწოლები ( 30 სმ სიმაღლის დამცავი ზღუდით) და ლეიბები/ სექციური ერთი, ორი ან სამ იარუსიანი საწოლები (რომლის პირველი, მეორე და მესამე იარუსის სიმაღლე ერთად არ აღემატება 125 სმ) და ლეიბები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ჯგუფური ოთახის თაროები და კარადები განთავსებულია ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება აღჭურვილია სულ მცირე ერთი ინტერნეტთან წვდომის მქონე კომპიუტერით და მრავალფუნქციური პრინტერით (სკანერის ფუნქციით) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული განათლების პირველ, მეორე და სკოლამდელი აღზრდის პირველი წლის ჯგუფების ჯგუფური ოთახის განთავსების სართულზე გათვალისწინებულია საფენების გამოსაცვლელი მაგიდა, სათავსი საფენებისათვის და სათლი ავტომატური სატერფულით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| **3** | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.** | | | | | | | | |
| 3.1. | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს:** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახების რაოდენობა/საერთო სივრცის ფართი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს:ჯგუფური ოთახების რაოდენობა;ეზოს ფართი;აღმზრდელის თანაფარდობა; საბავშვო ზომის ხელსაბანების რაოდენობა; საბავშვო ზომის უნიტაზების რაოდენობა  ;  საბავშვო ზომის სკამებისა და მაგიდების რაოდენობა ,საძინებელი/მოსასვენებელი სივრცე და საწოლების რაოდენობა;გასახდელი სივრცე | | | |
| | ეზოს/გარე სივრცის ფართი | | | | | | | | |
| | აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის თანაფარდობა | | | | | | | | |
| | საბავშვო ზომის ხელსაბანების რაოდენობა | | | | | | | | |
| | საბავშვო ზომის უნიტაზების/ღამის ქოთნების რაოდენობა | | | | | | | | |
| | საბავშვო ზომის სკამებისა და მაგიდების რაოდენობა | | | | | | | | |
| | საძინებელი/მოსასვენებელი სივრცე და საწოლების რაოდენობა | | | | | | | | |
| | გასახდელი სივრცე | | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3.2. | **დაწესებულება ფლობს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით დადგენილ რესურსებს** | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | დაწესებულებას აქვს 2 ჯგუფური ოთახი: 1. 49,76 კვ/მ  (საძინებელი - 33,19 კვ/მ)   2. 49,13 კბ/მ (საძინებელი - 33,19 კვ/მ)   ეზოს ფართობია: 1209,6 კვ/მ აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის თანაფარდობა - არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.  დაწესებულებას არ აქვს საბავშვო ზომის ხელსაბანები.   საბავშვო ზომის უნიტაზები/ღამის ქოთნების რაოდენობა - უნიტაზი 8 ერთეული, ღამის ქოთანი -2 ერთეული   საბავშო ზომის სკამი რაოდენობა - 63 ცალი  საბავშვო ზომის მაგიდის რაოდენობა   - 21 ცალი საწოლების რაოდენობა - 15 ცალი ორსართულიანი,  გასახდელ სივრცეში - 24 ცალი ორგანყოფილებიანი კარადა. საბავშვო ზომის ხელსაბანების მოწყობა დაწესებულებას არ აქვს გაწერილი შესაბამისობის გეგმით. | დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ბავშვებისა და აღმზრდელთა თანაფარდობის დაცვა კანონმდებლობის შესაბამისად, რისთვისაც ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. ასევე, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საბავშვო ბაღის ბავშვთა სანიტარულ კვანძებში საბავშვო ზომის ხელსაბანების განთავსება. | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა  24 თვემდე პერიოდზე. კერძოდ " საბავშვო ბაღების გაერთიანებაში საკითხის დაყენება, რასაც მოჰყვება გაერთიანების ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა და გამარტივებული შესყიდვის წესით ზღვრული ოდენობის შესაბამისი საბავშვო ზომის ხელსაბანების შეძენა. |

ხელმომწერი
ავტორიზაციის ექსპერტთა
ჯგუფის  თავმჯდომარე
ხარისხის ექსპერტი: მარიამ
გოგობერიშვილი
ხელმოწერა:



14/11/2025

კითხვარის შევსების პროცესში აღნიშნული ფერით მონიშნული საკითხები არ ფასდება, თუ ის არ არის რელევანტური კონკრეტული დაწესებულებისთვის/დაწესებულების კონკრეტული მისამართისთვის.

დანართი №2

## 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება:<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში):<br>ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშო ბაღების გაერთიანება, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის N 15 საბავშვო ბაღი | ბრძანების N: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 16 ივნისის N675383 ბრძანება |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი:<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვიშხეთი, მე-5 ქუჩა, N5 | ვიზიტის თარიღი: *09.07.2025* |

**კრიტერიუმი 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას**

| ინდიკატორი 1. დაწესებულება იცავს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კითხვარით განსაზღვრულ პირობებს | შესაბამისია | მეტწილად შესაბამისია | ნაწილობრივ შესაბამისია | არ არის შესაბამისი | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|
| | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | 1.ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშო ბაღების გაერთიანების მმართველის 2025 წლის 11 აპრილის N32.84251012 ბრძანებით დამტკიცებული კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი. რომელიც მოიცავს ალერგიის ან სხვა კვებითი აუტანლობისა და დიეტური საჭიროებების მქონე ბავშვის კვების ორგანიზების საკითხს, საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადების და სერვირების, ასევე, კვების პროცესში გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათის დამუშავების მეთოდებს და კვებითი ღირებულების შენარჩუნების წესებს; საკვები პროდუქტებისა და კერძების ხარისხის კონტროლის საკითხს.<br>2. ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშო ბაღების გაერთიანების მიერ კვების პერსპექტიული მენიუს, საკვები პროდუქტების ჩანაცვლების სარეკომენდაციო ცხრილის, პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებების ცხრილის, კერძების კარტოთეკის და მიკვლევადობის ჟურნალის შაბლონის დამტკიცების შესახებ ამავე გაერთიანების მმართველის 2025 წლის 11 აპრილის N32.8425101001 ბრძანება. 3. სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული შესაბამისობის შეფასების აქტი.<br>4. ბავშვთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისი რაოდენობის ჭურჭლის დამადასტურებელი დოკუმენტი;<br>5. მენიუს შესყიდვისთვის საჭირო ფინანსური რესურსის ამსახველი დოკუმენტი;<br>6. ნედლეულისა და საკვები პროდუქტების მიკვლევადობის ჟურნალი;<br>7. საკვები პროდუქტების და სასურსათო ნედლეულის ტექნიკური მახასიათებლების დოკუმენტი; 8. დღის განრიგი;<br>9. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ორი სეზონის მენიუ(ახალი მენიუ, რომელიც არ არის დამტკიცებული). |
